



79893

მთხეთი

№ 19-20

№ 19-20

1883—1906 წ.

30 ოქტომბერი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

საღმრთაბატონო ბაწორიძე: უკანასკნელი კრება სამღვდლოებისა, ქალაქ თფილისში, ბოიკოტის ახსნის შესახებ. ერთი დღევე გადავანის. —საფრანგეთის სამღვდლოება რევილიუციის დროს. —ჩვენი სულიერი მამები. —ბერი ნაუმი, (რუსულიდან) მღვ. ნესტორ აბესაძის. —„მწყემს“ (ლექ.), თ. როსტომ-გუბა ჩიქვანის. —ჩემი ლოცვა მანჯურიაში. (ლექსი), ბალის-ქუჩელის. —წერილი რედაქციის მიმართ, ებსკ. აღმესანდრესი. —იმერეთის სამღვდლოების დებუტატების საჯანგებო კრება, ქ. ქუთაისში, 8 ოქტომბერს 1906 წ. დამსწრისა. —წერილი ლ. ნ. ტოლსტოისა გურულებისადმი. —სახელმწიფო ვალები. —წერილი ქენევიდან. —ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მისწრაფება ქრისტიანობის სარწმუნოებასა და კათოლიკე-წინააღმდეგობა: ალაშინა, როგორც თეოსოფი მსაჯული, უკვდავი, უმჯობესი და სიტყვიერი არსება. ი. ბალუევის.

უკანასკნელი კრება სამღვდლოებისა, ქალაქ თფილისში, ბოიკოტის ახსნის შესახებ.

ამ უკანასკნელი სამღვდლოების კრების შესახებ თფილისის გაზეთი „მეგობარი“ გაუწყებს შემდეგ ცნობებს.

როგორც აღვნიშნეთ, 12 ოქტომბერს დაიწყო კრება ქართველ სამღვდლოების დებუტატებისა. მონაწილეობა მიიღო ოთხმა ეპისკოპოსმა და თითო მზრიდან თითო დებუტატმა. კრება დამთავრდა 15 ოქტომბერს. იგი შეეხო ავტოკეფალიის საკითხს და აგრეთვე სამღვდლოებისა და მრევლის დღევანდელ ურთიერთობას. კრებამ დაადგინა: 1) რუსეთის სამღვდლოების მომავალ კრებაზე საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა დავალოთ დაეცნენ ივერიის ეკლესიის საქმეები; 2) ივერიის ეკლესიის რწმუნებულნი მონაწილეობას იღებენ იმ საკითხების განხილვაში, რომელიც უნდა გადასწყვიტოს სრულიად რუსეთის კრებულმა; 3) ვიდრე გადასწყვიტებოდეს საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, საქართველოს სამღვდლოებამ სამსახურის გამო დამოკიდებულება იქონიის ექსარხოსთან შემდეგს საფუძველზე: ა) ამ დადგენილებათა გამოცხადების დღიდან ეხლანდელი ბლაღოჩინები გადადგებიან სამსახურიდან და სამღვდლოება ირჩევს

ახალ კაცებს. შინაურ საქმეებისთვის თითოეული საბლაღოჩინო ოლი ირჩევს საბლაღოჩინო საბჭოს. ბ) საბლაღოჩინო საბჭოებს უფლება მიეცეთ ეპარქიის უფროსებს წარუდგინონ ხოლმე კანდიდატები ახალ აღიღოზე განსაწყესებლად; 4) დაიკეტოს სასწავლებელთა საოლქო საბჭო. ეპარქიების სამრევლო-საეკლესიო საქმეთა მეთაურებელ დინიშონ ისეთი კაცები, რომელთაც ესმით ბავშვების ენა და საზოგადოება ცნობით ეპარობა და 5) სამღვდლოებას მიეცეს ძმური რჩევა ბეჯითად აღასრულოს თანამდებობა, იცხოვროს უმწიკლოდ და ფხიზლად, არ შეავიწროვოს მრევლი ჯილდოს მოთხოვნილებით, არ ააღვდოს მრევლი, როგორც ეს ჩაიდინა საგარეჯოს საბლაღოჩინოს სამღვდლოებამ.

კრების დადასტოვების თანახმად, 16 ოქტომბერს ეპისკოპოსებმა პეტრემ და გიორგიმ კრების მიერ ხელმოწერილი დადგენილებანი წარუდგინეს ექსარხოსს, რომელმაც განაცხადა: ამ დადგენილებათა აღსრულება აღმებატება ჩემს კომპეტენციას, ამიტომ შეუამდგომლობას აღძვრავ სინოდის წინაშე, რომ ვიდრე ავტოკეფალიის საკითხი გადასწყვიტებოდეს, ეს წესები შემოღებულ იქნეს საქართველოს ეპარქიებში.

სხვათა შორის, სამღვდლოების კრებამ განიხილა ტფილისის სამღვდლოების ერთის ჯგუფის

საქმეების განხილვის დასრულების თარიღი 1906 წლის 15 ოქტომბერი



მოსაზრება საქართველოში ერთის სამიტროპოლიტოს და ხუთის საეპისკოპოსოს დაწესების შესახებ. კრებაზე გამოიჩინა; რომ ეს მოსაზრება ეკუთვნის მხოლოდ ორ-სამ მღვდელს. კრებამ საქიროდ არც კი სცნო ამ მოსაზრების არსებითად განხილვა.

გაზეთი გვაუწყებს, რომ ყველა გუმბერნიის მაზრებიდან იყვნენ სამღვდლოების წარმომადგენელი—დეპუტატებიო. ეს სრულებით მართალი არ არის. იმერეთის ეპარქიიდან არც ერთი დეპუტატი არ ყოფილა. მართალია თფილისიდან იწვევდნენ მათ, მაგრამ არ წასულან, რადგან კრება უმინიშნელოდ მიიჩნის...

ქართლ-კახეთის ეპარქიის საღვდლოების კრებამ ამას წინეთ გარდასწყვიტა, რომ იგი ბოიკოტს უწყხადებს ახალ ექსარხოსს და არავითარ საქმეზე მასთან არ მივა. ექსარხოსს სიონის ტაძრიდან რკინის გზის სადგურამდის აქეთ იქით ჯარი დაუყენეს და წინ და უკან სტრაჟნიკების, ყაზახების და ეანდარმების წაძლიებით მიიყვანეს სიონში და იქიდან სასახლეში. ვისაც საქვე რაზე ჰქონდა მიდიოდნენ მასთან და ვისაც არა, რასაკვირველია, რად წაივდიოდა? ყოველად საღვდლო პეტრემ მისწერა მღვდლო-მთავრებს, რომ სამღვდლოების დღეგატებით შეკრებილიყვნენ თფილისში, მაგრამ არ იწერებოდა თუ რაზედ უნდა შეკრებილიყვნენ. როცა იმერეთის ეპარქიის დღეგატებმა შეიტყვეს მიზანი კრებისა არ გამოცხადდნენ, რადგან უკანონოდ და უმინიშნელოდ მიიჩნის ამ კრებაზე დასწრება... ამა არ გადაწყვიტა აქ სამღვდლოების კრებამ? სრულებით არაფერი. განიხილეს ყველა მოსული დეპუტატების რწმუნების ქალაღებში? ვგონებთ სრულებით არა. ვითომც რაღაცა რფერმა მოითხოვეს და მისი დამტკიცება და შემოღება ექსარხოსს სთხოვეს! ექსარხოსიც დაპირდა ვიშუამდგომლებო. სწორეთ ის დრო მომაგონდა როცა ბულიგინს სთხოვდნენ კონსტიტუციის დაარსებას და ავტოკეფალობის აღდგინებას!..

გაზეთი გვაცნობებს, რომ კრებამ განიხილა თფილისის სამღვდლოების ერთი ჯგუფის მოსაზრებანიო და სხვა... კრებაზე გამოიჩინა, რომ ეს მოსაზრება ეკუთვნის ორს-სამ მღვდელსო. შემცდარი აზრია. თფილისის სამღვდლოებამ კრება მოაზღინა წინ და წინ და აირჩია „საიმელო“ დეპუტატები კრებისათვის, ამ დეპუტატებმა შეადგი-

ნეს ეს მოსაზრება და ურჩევდნენ მთელს კრებას, რომ თუ სამიტროპოლიტო დაარსდეს მაშინ მცხეთა თფილისის—მიტროპოლიტად იქმნეს არჩეული დიდად დამსახურებული პირი, ვინც უნდა იყოს ქართველი იქმნება იგი რუსი თუ ოსიო!.. მლოლოდ ის მოწყალეა უნდა გვიყონ, რომ უწმიდესი სინოდის წევრად იყოს დანიშნულიო სიხარულით აუსრულებნენ თფილისის სამღვდლოებს მას ამ თხოვნას და კიდევ დააჯილდოებენ...

ამ უკანასკნელ დროს რაღაცა გახშირდა ჩვენში სამღვდლოების კრებებზე გამოცხადება ისეთ პირების, რომელნიც არავის არ აურჩევია თვის დეპუტატად და რწმუნებულად. საქიროა ყოველთვის რწმუნების ქალაღების მოთხოვნა და როცა წარმოადგენენ ამისთანა ქალაღდნეს მაშინ უნდა გამოაცხადონ კრება სამღვდლოების რწმუნებულთა კრებად.

(გაგრძელება იქნება).

ერთი დეკლარაცია.



საზრახვეთის სამღვდლოებას ჩვეოლიუბის დროს

მე X^{III}-ე საუკუნეში საფრანგეთის სამღვდლოება ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთს ნაწილს შეადგენდა მაღალი წოდების სამღვდლოება, მეორეს—დაბალი. პირველს ეკუთვნოდნენ პრელატები, ეპისკოპოსები, ამატები და სხვ; ხალხი იმათ სასარგებლოდ იხდიდა ხარჯს (მეათედს), ეკავათ მათ საპატრიოკ ადგილები და ნება ჰქონდათ მიემართათ პირდაპირ მეფისათვის. იმათი ადგილები იმდენად სახარბიელო იყო, რომ არისტოკრატებიც კი სცილობდნენ ჩარიცხულიყვნენ ეკლესიის კარებში. ყველა ეს წარჩინებულნი—სასულიერო პირნი სცხოვრობდნენ სატახტო ქალაქში მიუხედავად იმისა, რომ კანონების ძალით არა ჰქონდათ ის უფლება. ესენი მარტო იმისთვის სცილობდნენ, რომ გაეუშჯობესენიანთ მივითერი მდგომარეობა და მეტი გავლენა ჰქონდათ პოლიტიკურ საქმეებზე. ეკლესიისათვის ზრუნვა განისაზღვრებოდა მარტო თხოვნით „ერეტკოსთა“ დენის შესახებ. მღვდლო-მსახურების შესრულება და ხალხის რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდა კი, მთლად დაბალ სამღვდ-



ლოებას აწვა კისერზე. მაღალ წრებში არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ უბრალო მღვდლებს, ჯამაგირებზე ჰქონდათ მცირე, სტოგრობდნენ და რჩებად. საზოგადოების მაღალ და საშუალო წრეებში საშინელის სისწრაფით ვრცელდებოდა ურწმუნოება, მაღალ სამღვდლოებაში კი არ ჩანდნენ აპოლოგეტები და გამოჩენილი მქადაგებელნი. პირიქით, თვით ეკლესიის უმაღლეს კრებულში მოიპოვებოდა არა ერთი ურწმუნო.

რადგანაც ეკლესიის კრებულის უმაღლეს სამღვდლოებას ნიშნავდა თვით მეფე, ამიტომ ხალხის თვალში მეფის უფლება, არისტოკრატია და უმაღლესი სამღვდლოება იყოს ის შეერთებული ძალა, რომელიც უნდა დამოზიადიყო. აი ის მიზეზი, რისთვისაც მე-XYIII-ე საუკუნის ბოლოს საფრანგეთში დაიწყო სარწმუნოების დევნა. როგორ უნდა მოქცეულიყო დაბალი სამღვდლოება, რომ აეცილნა თავიდან მომავალი უბედურება? როგორცა ვთქვით, ის უკიდურეს სილატაკეში იყო ჩაგრდნილი, არისტოკრატისთან საზოგადო არა ჰქონდა რა, საეპარქიო მთავრობის მძლავრ კლანქებში ძლიერა სუნთქავდა; ის იყო ხალხის ძვალი ძვალოვანი და ხორცი ხორცთავანი, იდგა ხალხთან ახლო, ისე იტაცებოდა, ისე მძიმე უღელი აწვა კისერზე. როგორც ეკლესიის, ისე თავის მღვდმარების გაუმჯობესობას ის ხედავდა სახელმწიფო რეფორმებში. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ დაბალი სამღვდლოება რევოლიუციონურ მოძრაობის დღიდანვე უკმაყოფილოთა რაზმში ჩადგა და მოძრაობას ხელი შეუწყო.

რევოლიუციონერები არ აჩვენდნენ ეკლესიას წარმომადგენელთაგან და უკმაყოფილება უკანასკნელთაგან გაღიქანეს ეკლესიაზე. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც სახელმწიფო ისე მჭიდროდ იყო შეკავშირებული ეკლესიისთან, რომ შეხება სახელმწიფოსი ნიშნავდა ეკლესიის წარმომადგენლების შეხებას. სასულიერო ავტორიტეტი უკვე დაკარგული ჰქონდა მაღალ სამღვდლოებას; გარეგანი ავტორიტეტი კი, რომელიც მას აძლევდა ძალას, იყო იგივე ბიუროკრატული ავტორიტეტი, რომელსაც ბოლო ეღებოდა.

იმ დროს საფრანგეთის ხალხში დაიწყო ქადაგება თანასწორობის, ძმობის და თავისუფლების შესახებ.

როგორ მოიქცნენ მაღალი სამღვდლოების წარმომადგენელნი? იმის მაგიერად, რომ აეღოთ სახარება (მათ. V, 44—48) და აესნათ ქეშარიტქრისტიანულის შესედულებით ამ სიტყვების მნიშვნელობა, ეჩვენებინათ, რომ ეს სიტყვები აღებული იყო ქრისტეს მოძღვრებიდან,—მათ დაიწყეს ქადაგება, რომ სრული თანასწორობის, ძმობის და თავისუფლების განხორციელება შეუძლებელი იყო. მაგრამ საქმე ამაში არ იყო. საქმე იყო იმაში, რომ ყველანი თანასწორნი უნდა ყოფილიყვნენ კანონის წინაშე. იმათ დაიწყეს ქადაგება არსებულ კანონების და ღვთისაგან დადგენილ მთავრობის და მორჩილების შესახებ. ხოლო თვით კანონების ღირსებას კი ყურადღებას არ აქცევდნენ. ამისთანა საქციელით სამღვდლოებამ დაიმცირა თავი და დაპარგა ავტორიტეტი. ეს კიდევ არაფერი, ამისთანა მოძღვრებამ დაამცირა თვით ქრისტიანული სარწმუნოება. ევროპის უმაღლეს საზოგადოებას ელვის სისწრაფით მოედო ურწმუნოება, და თუ ხალხმა არ დაპარგა სარწმუნოება, ეს აიხსნება იმით, რომ მის გვერდში უდგნენ სულიერნი ხელმძღვანელნი—დაბალი სამღვდლოება,—რომელნიც ისევე დამონავებულნი და დაზარალებულნი იყვნენ უმაღლეს ბიუროკრატული მთავრობისაგან, როგორც ხალხი. ერთის სიტყვით, მე-XYIII-ე საუკუნის ბოლოში ჩვენა გზედავთ მრავალ იმისთანა სურათებს, რომელნიც სასესებით მოგვაგონებენ სამღვდლოების აწინდელ მდგაარებას. როგორ მოქცეულიყო საფრანგეთის დაბალი სამღვდლოება? რა ღონე უნდა ეღონა, რომ არ დაღვრილიყო ძმის სისხლი? იმის არ შექმნო გულახდილად და სრულის რწმენით გამოხულიყო ძველ წესწყობილების დასაცველად, რადგანაც ეს იქნებოდა ღვთაებრივ და კაცობრივ კანონების და ღირსების გაქვლევა; ამიტომ ის ან უნდა გაჩუმებულიყო და შორიდან ეყურა მოძრაობისათვის, ან არა და—ხალხის მოთხოვნილება ეცნა სამართლიანად, ჩამდგარიყო უკმაყოფილოთა რაზმში და იმასთან ერთად მიეღო მონაწილეობა რევოლიუციაში.

ხალხი ერთნაირად იყო უკმაყოფილო როგორც არისტოკრატისა, ისე სამღვდლოებისა,—უმეტესად უმაღლესისა,—რომელიც გამოხატველი იყო საშუალო საუკუნეების შეხედულებისა: საფრანგეთში მონარქია აღიზარდა ეკლესიის დახმარებით,

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმართობის
მინისტროს
საგარეო
აღმართობის
საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმართობის
მინისტროს

დღეს კი ეკლესიას ესაქიროებოდა სახელმწიფოს დახმარება. მიზეზი უკმაყოფილებისა, სხვათა შორის, იმაში იყო, რომ სამღვდლოებამ არ მოისურვა საეკლესიო მამულებზე უარის თქმა. ეკლესიის ღირსების და პრესტიჟის დასაცველად კი უკეთესი იქნებოდა უმაღლეს სამღვდლოებს სულ ახლა სამდიდრეზე. მაგრამ ის არისტოკრატებით გაჯიუტდა და სწორეთი იგივე ბედი ეწვია, რაც უკანასკნელთა. 1789 წლ. მარიათებისთვის ნაციონალურმა კრებამ, სახელმწიფო ხაზინის შესახებოდა, მოითხოვა ფეოდალურ უფლებათა გაუქმება. ჯერ მარტო ამას მოჰქონდა უმაღლეს სამღვდლოებისთვის დიდი ზარალი, რადგანაც საეკლესიო მამულებს შეაწერეს ხარჯი, ხალხი კი განათავსუფლებულ იქმნა მეთედლიდან. სხვებთან შედარებით, უფრო გონივრულად მოიქცა ოტენის ეპისკოპოსი ტაღვირანი: იმან მისცა წინადადება საეკლესიო მამულები გამოცხადებულიყო ნაციონალურ საკუთრებად; წინადადება მიღებულ იქმნა და მამულების ნაცვლად სამღვდლოების დაერქვნა ჯამაგირები. მარტო უმცირესობა დასთანხმდა ამგვარ წესებს, უმრავლესობამ კი განაცხადა უკმაყოფილება. ხალხმა, რასაკვირველია, იწყინა სამღვდლოების ასეთი საქციელი და ეკლესიის საწინააღმდეგო ზომები ჩქარის ნაბიჯით წინ წავიდა. 1790 წელს ყველას ნება მიეცა მიეტოვებინა მონასტრები, იმავე წლის დამლევს-კი მონასტრები გაუქმებულ იქმნენ. ეპისკოპოსები და მღვდლები უნდა ხალხის წარმომადგენელთაგან ყოფილიყვნენ ამორჩეულნი, და არა დანიშნულნი, როგორც უწინ. ამისთანა დადგენილებით შემცირდა რომის პაპის მნიშვნელობა და გავლენა საეკლესიო საქმეებზე. ნაციონალურმა კრებამ მოსთხოვა სამღვდლოებას შეეცვა კაროლის მიერ დამტკიცებულ ეკლესიურ კონსტიტუციისათვის (26 ქრისტ. 1790 წ.). თითქმის ერთმა მესამედმა მიიღო ფიცი, დანარჩენთ კი უარი განაცხადეს, ამიტომ ზოგი მათგანი უადგილოდ იქმნა დატოვებული, ზოგი კი ისევ ძველ ადგილებზე დარჩა, ხოლო დროებით, ვიდრე იმათ ადგილებზე კანდიდატებს იშოვნდნენ. სწორეთ ეს მოწინააღმდეგენი შეიქმნენ უმთავრეს მიზეზად საფრანგეთის ეკლესიისაში მომხდარი არეულობისა: ბევრი მათგანი გაიქცა იტალიაში, ისპანიაში და ინგლისში, და ამ მოწინააღმდეგეთ ძალა დატანეს პაპს გამოეცა ეკლესიური კონსტიტუციის

საწინააღმდეგო ბუღა. გაქცეულთა რიცხვი აღმატებოდა 8000 კაცს, რომელთაგან უმეტესი ნაწილი ეკუთვნოდა მაღალ სამღვდლოებას. ესენი სწვრდნენ და ქადაგობდნენ ახალ წეს-წყობილების წინააღმდეგ და თავიანთ საქციელით აძულებდნენ ხალხს სამღვდლოებას. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ემიგრანტები ძველ წეს-წყობილებისთვის კი არ ზრუნავდნენ, არამედ დაკარგულ მატერიალის პრივილეგიებისათვის. ას საქმეში უფრო თავგამოდებით მოქმედებდნენ ის პირნი, რომელთაც ახალ წესებმა მოაკლო შემოსავალი. უკმაყოფილონი ცდილობდნენ მიემხროთ ყოფილ თანამახუნნი, მაგრამ მაღალ და დაბალ სამღვდლოებათა შორის განსხვავება ისე დიდი იყო და ზნეობრივი გავლენა პირველისა მეორეზე ისე მცირე, რომ უკანასკნელი ძველებურად აღარ ემორჩილებოდა პირველს, და ბაღმა სამღვდლოებამ არ უღალატა თავის მწყემსურს მოვალეობას, იმან არ მიატოვა სამწყსო და შეურიგდა ეკლესიურ—მოქალაქობრივ ახალ წეს-წყობილებას.

ამ რიგათ ჩვენა ვხედავთ, რომ რევოლუციის პირველ ხანებში ხალხის მოძრაობა არამც თუ არ იყო მიმართული ეკლესიის წინააღმდეგ, პირიქით, ხალხი პატივის-ცემით ეპყრობოდა. მართლია, რომის ეკლესიისთვის საზარალი იყო ახლად შემოდებული ამორჩევითი წესი, რადგანაც ბოლო ვდებოდა სიმონიას და პროტექციას, მაგრამ თუ რეფორმები გონივრულად იქნებოდა გატარებული ცხოვრებაში, მოსალოდნელი იყო, რომ მას კეთილი შედეგი მოყვებოდა.

როდესაც პოლიტიკურ მოძრაობას ზედ დაერთო ეკლესიური არეულობა, მაშინ ხალხი უფრო აღელდა. სამღვდლოება გაიყო ორ ბანაკად: ნაფიც და არა-ნაფიც სამღვდლოებად; პირველი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა დაეძლია მეორე, უკრძალავდა მღვდლომთქმედებას, ცდილობდა გაერია სარწმუნოება და ეკლესია პოლიტიკურ-ეკონომიურს ბძობაში, და ამ ნაირად ამცირებდა თავის თავს და ეკლესიის ავტორიტეტს. რომ სამღვდლოება არ დასდარიმოდა უკუდამართს გზას, არ განაწილებულიყო, არ ეხმარა საშუალ საუკუნოების იარაღს—წყევ-კრულვა,—არ მიტოვებინა სამწყსო და უცხო ქვეყნებში არ გაქცეულიყო, მაშინ რომის ეკლესიის ბედ-იღბალი სულ სხვა იქნებოდა, ვიდრე იგი იყო



მეთორამეტე საუკუნეში. რამდენად მოუფიქრებლად მოეპყრო სამღვდლოება თავის მოვალეობას, ეს სწანს იქიდან, რომ ზოგიერთ ეპისკოპოსებმა და მღვდლებმა სახალხოთ უარი განაცხადეს ქრისტიანობაზე, თავიანთ სამსახურს უწოდეს მწემებლობა (შარლატანობა), უარი სთქვეს მღვდლობაზე და სამღვდლო ტანისამოსი გაიხადეს. ასეთი საქციელი სასიამოვნო იყო ატეისტებისთვის, მათ დაუწყეს სასტიკი დევნა ქრისტიანობის ერთგულთ და გამოავახადეს „გონების კულტი“ (культъ разума). ეს ასე არ მოხდებოდა, სამღვდლოების უმეტეს ნაწილს, რომ მმართველობის საწინააღმდეგო აგიტაცია არ გაეწია; მაშინ არც პაპი პიუს VIII სამარტყინოდ იქნებოდა პარიჟში დატოვებული.

საფრანგეთის ხალხს არ დაეიწყებია და არც დაიფიქრებეს თავის სამღვდლოების იმ სამარტყინო საქციელს, რომელიც ჩაიდინა პირველ და შემდეგ რევოლიუციების დროს. ხალხს მუდამ ემახსოვრება რესპუბლიკანურ დაწესებულებათა საწინააღმდეგო ბრძოლა სამღვდლოებისა. შორს ღვას ხალხი სამღვდლოებისა და სარწმუნოებისგან. ამაში თითონ სამღვდლოებაა დამნაშავე. როდესაც ახლა საფრანგეთში ლაპარაკობენ ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორებაზე, ამით იურიდიულად ადასტურებენ იმას, რაც უკვე მოხდა. მოხდა კი ეს მაშინ როდესაც სამღვდლოება ჩაერია პოლიტიკურს საქმეში, უკუღმართათ დიწყო მოძღვრება, გაკირვების ეპისპიტოვა სამწყსო და უცხო ქვეყნებში გაღიზივნა.

ჩვენი სულიერი მამები

(ვუძღვნი ავტოკეფალიის მებრძოლთ)

უკეთუ გინდა მომავალი შეიტყო, უნდა კარგად გაითვალისწინო აწყყო და წარსული. კარგად უნდა ჩაუკვირდე წარსულს, მიიხედ-მოიხედო გარშემო რა ხდება, ასწონო, დასწონო, პატარა ტყინის ძარღვებიც აათამაშო, და მაშინ შეიძლება გაიგო, თუ გადაქრით არა, ზედმიწევნით მაინც, მომავალი.

მეც მინდა ამ კანონს დავემორჩილო, რადგან უტყობო გზად ვს მიმანჩნა. საქმე რაშია, იცი, მკითხველო? დიდი კი არა გეგონოს-რა ის კი არ იფიქრო, მე იმისი გამოცნობა მინდოდეს, ასი, ან

ორმოც-და-ათი წლის შემდეგ რა მოხდება, როგორი დამოკიდებულება დამყარდება კაცთა შორის მომავალში. აღსრულდება თუ არა ანგელოზების: „ღიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, თუ ისევ კაცი კაცისთვის მგელი იქნება, ან ეკონომისტების ლექსით რომ ვთქვათ, უფრო გაძლიერდება ინტერესთა ანტაგონიზმი.

მე მინდა შევეხია ავტოკეფალიის საქართველოს ეკლესიისასა, რომელიც, ავერ ორი წელიწადი სრულდება, რაც აღთქმულ ქვეყნად აღიარა ქართველმა სამღვდლოებამ. გამართა ბრძოლა ამ სამღვდლოებამ ავტოკეფალიისათვის ცხადად, თუ ფარულად, ბევრი დაბრკოლება გადაედო, ბევრი მტერი გაუნდა შინ თუ გარედ, ბევრიც შეცდომა მოუვიდა ტაქტიკურად, მაგრამ წინ მაინც მიიწედა.

სწორედ ორი წლის თავზედ შეიკრიბა ათი-ოცე მოძღვარი, ეკლესიის მეთაურები ქ. ტფილისში და მთელ საქართველოს ეკლესიის სახელით, საქართველოს ეკლესიის ბედი ჩააბარა რუსეთის საეკლესიო კრებს. მოუხარა ქედი გალაღებულ ბერს, უშენოდ ცხოვრება არ შეეგვიძლიაო, უხარა და უფრო გაათამაშა. მერე როდის, იცი, მკითხველო? როცა ეჭვი შეგებართ, როცა ირყეოდ შინაგანი ანისება. ჭკუიანი კაცთა მამა ივანე, იცის ჩვენი სისუსტე და ძველი ანდაზა: „ცხენ შვილიან გატყუებოა“.

გადაუბრუნდა ფეხი ქართველ სამღვდლოებს თავის ავტოკეფალიით. ყველა მოელოდა, რომ გადემოკრატებული ეკლესია, დაჩაგრულთა მამა, იესო ქრისტეს მოძღვარი შეუფსუბუქებდა მძიმე ტვირთს თავის პირმეტყველ ცხოვარს. თითონ გწათავისუფლებული მედგრად იქადაგებდა თავისუფლებასზედ. მაღლ ზნეობაზე, ძმობაზე, ერთობაზე და სიყვარულზე, მაგრამ...

მაგრამ რას ბრძანებთ, განა ასე მალე შეიცვლება ადამიანის ბუნება?! განა ასე ადვილია ადამიანის ბუნების გადაქმნა?! განა ასე ადვილია დრამა, ტაბლა, ცხვრის კანჭის მაცურებელი მღვდელი, ანუ ოქრო, ბრილიანტ, თვალ მკურნალობის მოტრფილად მიტროსანი მალღ ქეშპარიტების მქდაგებლად, ქრისტეს ნამდვილ მოწაფედ გადაქცეს?!... ვითომ თათსი წლიობით ძლიერთა იმა ქვეყ-

ნისათა შემეცქერაღნი, მათის ნასუფრალოთ გამამ-
დარ-გასუქებულნი ისე მალე შეიცვლებიან, რომ
ახლავე ეკლის გვირგვინი დაიდგან?! არა და არა...
(„მეგობარი“)

სწორეთ თფილისში მომხდარმა სამღვდელოების
კრებამ მისცა კიდევ მიზეზი აფემედებიანთ ზოგიერ-
თი მწერლები და გავლანძღათ ამისთანა უშვერი
სიტყვებით სამღვდელოება. ამ კრებამვე უნდა
გასცეს პასუხი გავ. „მეგობარს“.

ერთი ღელეგატაგანი.

ბერი ნაუმი.

რუსულიდან

წასულ საუკუნეში ერთს უდაბნოში მოღვა-
წეობდა ბერი ნაუმი. თორმეტი წლისა იყო, რო-
დესაც იგი მივიდა უდაბნოში და დაჰყო იქ ღრმა
მოხუცებულებადის. თავისით შეისწავლა მან. წერა,
კითხვა და შემდეგ ლოცვისა და შრომისა კითხუ-
ლობდა საღმრთო წერილს.

როდესაც მგზავრმა არ იცის გზა ეკითხება იგი
გამვლელ გამომვლელს, ეს გზა მიმიყვანს დანიშ-
ნულ ადგილას? ამბობდა ნაუმი. ჩვენც მგზავრები
ვართ. ჩვენ არ ვიცით, რომელი გზა მიგვიყვანს
ღმერთთან, ამისთვის მუდმივ უნდა ვკითხულობდეთ
საღმრთო წერილს, რომელიც არის გზის მაჩვენე-
ბელი.

მამა ნაუმს ყავდა სივანეში მამალი, რომე-
ლიც ხშირად ყვიოდა, ნუ თუ მამალი არ გაწუ-
ხებს? ეკითხებოდნენ ხშირათ ნაუმს.

სიენდისი გაჩუბებულია არის, ჩემი მამალი კი
არის მასწავლებელი მუდმივი.

იგი მაგონეს მე, როგორ უარ ჰყო პეტრე
მოციქულმა იესო ქრისტეს სამჯერ, მამალმა ამხილა
რა იგი გამოვიდა ეზოდან მწარე ტირილით, თვისი
დაცემა მოინანა.

ჩვენ კი ყოველთვის უარს ვყოფთ ქრისტეს,
არასოდეს არ ვსტირით, არც ვფიქრობთ ჩვენს
დაცემულობაზედ.

მამალი კი მიძახის მე: „გძინავს? ხომ არ და-
ძინებია სხუელთან სულსაც? — ვინც ეძიებს ღვთის
სიმართლეს, იმისთვის მამალიც კარგი მასწავლე-
ბელი არის. იმათ კი, ვისაც არ სურსთ კეთილი
ცხოვრება და იესო ქრისტეს სწავლის შეთვისება.
მამალი კი არა.

მოსე და წინასწარმეტყველნი რომ გავუხადო
მასაც არ დაუჯერებენ!

მღვ. ნესტორ აბესძე.



„აჭყაძის“

კარგის ხნით დაშორებულა
მორჩილად გკადრეთ სჯამისთ,
და კვლავ ჩვეული ხმაზედა
მოგაძღვნით შვირსა კალამით.

უძღურებთა მოცულს
ვეღარ ძალ-მუღვა წერანა,
ამისთვის დღემდე სასურბად
შევსწვეტე სურვილთ ბეგრანა.

აწ კვლავ გასურებთ მსენებას,—
სიმტკიცის ბურჯს ჰქმნიდესთ,
რამ თქვენი ნაფაწ-წაშრომი
მაღლობის სჯამს გძღვნიდესთ,

რამ წინა სრბას ნაყოფით
მრავალი ერთად სტკებოდეს,
რამ იმ დიადი კულტურის
აღღო სამკაულად ჩნდებოდეს,

ხოლო გზა ცთომილთ განხრმქუდა
ბუნდოვანის-ბრუნდისა.
თქვენ კი დღეგრძელი სიცოცხლე
შეოსად მასწარლთ გუნდისა.

და მე კი, მორჩილ მონას
ლოცვისა მომძადლიდეთთ,
და ჩემ გულს წრთულობას
ტარავად მიითვლიდეთთ.

ო. რასტომ-გუკა ჩიქვანია.





ჩემი ლოცვა მანუაშიაში.

ჭო, ღმერთო ჩემო! მომეცა ძალი!
 გული მომთმენი და სული გრძელი!
 იქ ჩაყვინდის ეს ჩემი ძველები,
 სიდაც მარხა იმერე ძველი.....

იქ არის ჩვენი ძველი წარსული,
 იქ არის ქართველთა სისხლი დაღვრილი,
 იქ არის ძარღვი ძველ ცხოვრების
 და ახლისთვის თრთის ჩემი გული!

ვევადროთ ქრისტეს, მის დიდებას;
 ნუ მიაუენებს ხალხს ვნებას!
 აქ სისხლი იღვრის მთას და პარსა—
 სამშობლო სტიკის გამოკლებას!

ღმერთო! რას ვხედავ, მე აქ ამას,
 რაც არ უნახავს შეიღეს ან შამას!
 ნურც დაანახებ დიდს თუ რჩეილს
 მტრისა, თუ მოყვრის ჩვენ შეიღთა-
 შეიღეს!

ვარსკვლავებითა მოჭედილ ცას
 მთავარც თვის შუქით ეაღვარება!—
 მტერთ ღაშქართ შორის მიეფობს სიჩუმე,
 მათ თვალს ძალი არ ეკარება... .

ატედა შეინად თოფის გრადა
 და შეარეა სიჩუმე ნელი,
 მოფინა ვეკლავს კუბრი ღრუბელი
 და მოელ ბუნების მოჭიფინა ბნელი!

იქეთ-აქედან ისმა ქუსლია,
 მოედო ცნესლი არე-მარეს;
 სუნქავს ალ-ველამით აქ ზარბაზანი
 ნაპერწკლით უთხრას ხალხს სამარეს.

ძვრა იწო მიწამ თვით ცნც გარდვა
 და ქარიშხალიც ბანს ეუნებას;
 მოქრის, მოსუჟის ტევა, ვით სტრევა;
 სიკვდილს ეჭადის მთელი ბუნება!

ვეგნა, დრიალი, ისხლავს ჩქრიალი...
 ხორცი სულს კარძვის გაფითრებულს;
 ბრწყინვალ ზოფიფით სისხლთ ნიაღვარი.
 მთვარეს შუქს უფრთხობს ცნცლ-მოდე-
 ბულს

სად თავი ეკრავს, ტანს წაკლეფილი,
 ხელი და ფეხი ცა-ცაღვე ურას!
 სად ესაღმება სიცოცხლეს კაცო,
 რომ დასცემა საწყლის გულს ტევა!

ჭო! ღმერთო ჩემო! შენ ცაღმეჭხედე,
 მოწყალის თვალთ ამ პრძალის ველს,
 შეგენებნე ხალხს სიყვარული,
 ჭიფინე ნათელი ნუ მისცემს ბნელს!
 ცაღმავლინე ჩვენზედ კონება,
 რომ ჩვენე მოგზავთ მოქმის მონება
 უოველ-ნაირი მოგვინე სენი
 და მოგვინეწე წყალთა შენი!

შეერთდეს შრამა და სიყვარული
 მისზე ხალხთ შორის მტრთა და შურა,
 რომ ერთმანეთს მაუგდონ ეური
 და მაწოდონ, თუ ში, ზური!

შენ მოგვინეწე დასცავათა
 შორს გამჭურტევი ჯეჟა და თვლი,
 მისზე ხალხთ შორის უსამართლობა
 და მათ სმუსრთ ტევა და სმლი!
 მ.შინ ისარება აღმანა,
 აუმაღლებას გრმნობა და სული
 და ნეტარებას იგრძნობს ეოველი
 თუ ეინდ ძე იუოს თუ ეინდ ასული!

ბაღის-ქეჩელი.

წერილი რამდამცის მიმართ.

შაბათს, 30 სექტემბერს, საღამოთი, შიო მლივიძის მონასტერში მოვიდა პირველ კლასიკურ გიმნაზიის რამდენიმე მასწავლებელი ორმოცამდე თავიანთის მოწოდით, არ ვიცი—მოხსალდა და მონასტრის დასათვლიერებლად, თუ ასაობრებლად. ჩვენ მოუმზადეთ ოთახებო, სამოვარი მივარათეთ, როგორც განათლებულ პირთ, და მოწოდეთაც ახალ-ახალი ლოგინები დაუმზადეთ. ერთის სიტყვით, რაც შეეძლო მონასტრის, პატივისცემა გაუწია, მიუხედავად ყველა ამისა. შუალამელი იმათი მოსვენება არ იყო, უმსგავსოდ ყვიროდნენ. შუალამისას ასტეტებს ზარგების რეკა დრო გამოშვებით. ბევრი დაუშალეთ, მაგრამ ხმასაც არაერთ იღებდა. ამ დროს მონასტრის საფუტკრიდან ერთი პირი ფუტკარი სრულიად ამოცალათ და დაენფლებინათ. დანარჩენებიც ეწვალდებოთ, მაგრამ ვერ მოეხერხებინათ გამოღება. ამასთანავე დამტერიც ჩიის ქურქელი; ზოგნი ხეში გადაეყარათ, ლამპები რაც ქერში იყო ჩამოკიდებული, ისინიც ჩამოველიჯათ და სტოლის ლამპებიც დაემხვრიათ;

განმეორებულია

ახალი ქვეშაგები ტალახიანის ფეხით გაეთვლოთ, მუთაქებიდან თოვა და მატყლი გამოეყარათ და მთელ ოთახებსა და ბალკონში მოეფანტათ. ცისკარის ლოცვის შემდეგ, ასე რომ ნახვარაი საათი კიდევ დაბე იყო, წასულიყვნენ. ვნახეთ, თათქო მონასტერი მტერს აუკლია და განცვიფრებაში მოველით.*)

ებასკ. ალექსანდრე.

**იმერეთის სამღვდლოების დეპუტატების სა-
განგებო კრება, მ. ჭუთაისში, 3 ოქტომბერს
1906 წ.**

როგორც იცინა „მწყემსი“ სკითხველებმა იმერეთ. ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების საგანგებო კრება იყო დანაშნული ქალაქ ქუთაისში. სამს ოქტომბერს სამღვდლოების დეპუტატები და სხვა მღვდლებიც ბევრი შეიკრიბნენ სასწავლებლის ერთ კლასში. ამ კრებაზედ მარტო ოთხი საბლალოჩინო ოლქის დეპუტატებმა წარმოადგინეს სამღვდლოებისგან რწმუნების სიგელები და დანარჩენებს არ ჰქონდათ. აღირჩიეს თავმჯდომარედ მღვ. იუსტინე ფანცხავა. თავმჯდომარე არჩეულ იქნა ნახევარი დეპუტატებისაგან.

მეორე დღეს დილის ცხრა საათზე შეიკრიბნენ სამღვდლოების წარმომადგენლნი ყ-დ სამღვდლოს სასახლეში, რადგან შესაკრები ბინა არსად იყო. აქ შეკრებილ სამღვდლოებს თავმჯდომარემ განუცხადა თუ რისთვის არიან დეპუტატები დაბარებულნი. „თქვენ, დაიწყეთ თავმჯდომარემ, ბლალოჩინები გამოეციხადებდათ მათი მეუფების მოწერილობის შინაარსს, რომელშიაც იყო მოხსენებული ქალების სასწავლებლის მდგომარეობა და გაკვირება უფულოებისა გამო“. ზოგიერთმა მღვდლებმა განაცხადეს, რომ ბლალოჩინებს მათთვის არაფერი არ გამოუცხადებიათ და არც დეპუტატები აღურჩევიათ, იგინი

*) ნეტავ იმ საზოგადოებას ვისაც აისთანა ახალი თაობა ვერღება სასწავლებლებში!.. დიდა, სამწყურთა!... ვახუთებში წაყვითლებულ ახას წინეთ, რომ ხსენებულ გინმანბის მოსწავლეებმა ბოღში მოითხოვეს თავის დანაშაულობაზე. ყოვლად სამღვდლო ალექსანდრეს წინაშეო. განა ბოღისის მოხდით გასწორდებიან ეს დანაშაუვი შევირდები და გამოვლდებიან მათგან დაბერილი ჭ და მტერული ნივთები?!. რედ.

არა სცნობენ თავიანთ დეპუტატებად, რომლებიც არიან მოსულნი სვერისა და საჩხერის საბლალოჩინოების ოლქებიდან. ისინი წამოსულან აქ, რომ თავიანთი შეილებსათვის არაფერი არ გადაიხადონ და არა სამღვდლოების ინტერესის დაცვისათვის. ამისთანა მატყუარა დეპუტატებზე ჩვენ მათ მეუფებას თხოვნა მივართვით და იმედია მათი მეუფებს ყურადღებას მიაქცევს“.

ჰკითხეს თვითონ ამ დეპუტატებს და იმათაც განაცხადეს, რომ სამი წლის ვადა დიდი ხანია გასული აქვს მათ რწმუნების წერილებს. კრებას სურდა შედგომოდა საქმის სჯას, მაგრამ კანონიერი რიცხვი დეპუტატებისა არ იყო. ბლალოჩინი დეკანოზს აბესალომ ტყემალაძეს კითხეს კრებაზე, თუ როდის არის იგი აღრჩეული დეპუტატად და მან განაცხადა, რომ ის იყო აღრჩეული ერთ დროს დეპუტატად, მაგრამ აღარ ახსოვს თუ როდის იყო აღრჩეული! როდესაც მათმა მეუფებამ უსაყვედურა მას და სხვა ბლალოჩინებს ამისთანა დაუდევნო, ტყემალაძემ განაცხადა: „ჩვენში ისეთი წესი იყო, ერთხელ აღრჩეულენ დეპუტატს და თუ ის თვითონ არ დანებებდა თავს სხვას აღარ ვირჩევდით“. თუ გასურსთ გაიგოთ რამდენად ესმისთ სამღვდლოების კრების წესდებულებანი ჩვენს ზოგიერთ ბლალოჩინებს აქედამ შეიტყობთ. თავმჯდომარემ ისურვა, რომ კრება არ დაშლილიყო და წინადადება მისცა დეპუტატებს მიეღოთ ის მღვდლები დეპუტატებად, რომელთაც რწმუნების ქალაღი არ ჰქონდათ სამღვდლოებისაგან; ამით მიიღეს და იცვენს ნამღვდო დეპუტატებად, რომელთაც სამღვდლოებისაგან რწმუნების ქალაღი არ ჰქონდათ! ამ ნაირად ოცდაათ დეპუტატამდ შეიკრიბა. სულ უნდა ყოფილიყვნენ 46 დებ.

სასწავლებლის ინსპექტორი, ბ. ჩოლოვაძე, მობრძანდა კრებაზე და თავის გრძელი სიტყვით თავი მოაბეზრა ყველას და ხან-და-ხან სიტყვაში სამღვდლოებას შეურაცხებითი სიტყვებით ისწინებდა, რომ იმათ მოიძულეს სასწავლებელი და მის შესანახავად ვითომც აღარაფერს იხილან და სხვა... დეკ. დამაშვიძემ გასცა შემდეგი პასუხი: „იმერეთის სამღვდლოებამ თავი ისახელა ეპარქიალური სასწავლებლის დაარსებით და ცოვდა არის, რომ სამღვდლოებაზე თქვენს რამე საყვედურს იმერეთის სამღვდლოებამ ორმოცდაათი ათასი



მანეთი შესწირა თვისი ღარიბი ჯიბიდან ხელშეუხლებელი თანხისთვის, რომ ნიადაგი წყარო დაეარსებინა სასწავლებლის შესანახავად. მას გარდა ყოველწლიურ კარგა გადასახალი იმდღეა. მაგრამ ხუთი იმდენიც, რომ შეიტანოს სამღვდლოებამ, რაც დღეს შეაქვს, მაინც ვერ დაეკმაყოფილებს ზოგიერთ ჩვენ პედაგოგებს და სასწავლებლის მმართველებს. იმერთის სამღვდლოებას ფულებს სთხოვდენ მარტო და როგორ ხარჯავდენ და რაზენ—ამას არავენ კითხავდა სამღვდლოებას. გახსოვსთ, ბ. ჩოლოვამ, ერთხელ სასწავლებლის საბჭომ სამღვდლოების თხოვნაზე: შეეგვტყობინეთ რაში იხარჯება ფულები და რა რჩება-ო? პასუხათ მოვიცით, და ისიც ოფიციალურად: თქვენი საქმე არ არის გაგაგებინათ თუ რაში რამდენი დავხარჯეთ, ან რა რჩებაო. თქვენი საქმე მარტო ის არის ფულები წარმოადგინეთო. საბჭო ისე გაჯიუტდა, რომ არაფერი ცნობა არ მოგვცა და ბოლოს იმის შესატყობად, რომ გაგვეგო თუ რამდენია გადარჩენილი ფულები საკუთრად სამღვდლოებისაგან შემობარილი პანსიონის ასახენებლად 90 მ. დაიხარჯა მარტო ამ ამბის შესატყობლად. დღეს როდესაც ფულები შემოგაკლდათ მოდიხართ და სამღვდლოებას კიდეც საყვედურს უტყობებთ“!

ბ. ჩოლოვამ მოიყვანა რუსეთის ეპარქიალური სასწავლებლები, სადაც მეტს ხარჯვენ და მეტს ჯამაგირებს აძლევენო.

დღე. მ. ღამბაშიძემ შენიშნა: „რუსეთის ეკლესიების და სამღვდლოების წაბაძეა ჩვენ არ გვარგია. ხერსონის ეპარქიაში ეპარქიალური სასწავლებლის ანგარიში წაიკითხეთ, რომელშიაც სხვათა შორის იყო მოყვანილი ბავშვების ფერ-უმარილზე და პირის გასალამაზებელ ნივთიერებაზე ნახარჯი 900 მანეთი; ხომ არ გნებავს ჩვენც იმდენი დაგინიშნოთ“?.

ბოლოს გარეშე მღვდლებმა, რომელთაც შეილები ყვადთ სასწავლებელში და ან რომელიმე თანამდებობა უნდათ მიიღონ ამ სასწავლებელში, განაცხადეს, რომ ჯამაგირებიდან ორი 1/3 შევიტანოთო, მაგრამ უმეტესი დებუტატები არ იყვნენ თანახმა. ორი-სამი საათი გაგრძელდა ამაზე ბასი.

ამ საგანზე შერჩადა ბასი და აღიძრა კითხვა სამღვდლოების დელეგატების შესახებ. არა დებუტატთაგანები ბევრი ზიძახდა: სხვები დეკავნოთ დელეგატებათო. მღვდელმა ლეკვეიშვილმა განაცხადა:

„დღემდის ვცავით ჩვენ და თუ სამღვდლოება ნლობას გამოგვიცხადებს ამის შემდეგაც ვემსახურებითო და თუ ნლობა არ იქნება სამღვდლოებისაგან ვინც გნებავს ის აირჩიეთო. ზოგი იძახობს ისინი დარჩნოთ და ზოგი იძახობს სხვები ავირჩიოთო. ამ დროს შემოვიარა მღვდელი მიხეილ ბუაჩიძე გარედან, მოითხოვა სიტყვის ნება და დაიწყო: „მე, ბატონებო, არ შევებები იმ კითხვას ძველები დარჩნენ თუ ახალი დელეგატები იქნენ არჩეულნი. მე, თქვენო უ-დ უსამღვდლოებსობავე, მრწამს, რომ თქვენ სათავეში უდგიახართ მათო-მადიდებელ სარწმუნოებას და იცათ მას. მე შევიტყვე, რომ დელეგატების შეზღუდვება და საქციელი სარწმუნოების დაცვის შესახებ არ მოგწონებიათ და რადაცა უთანხმობაც მომხდარა. ჩვენ დელეგატებს ძველი იქნებიან თუ ახლები პირობა უნდა ჩამოვართვათ, რომ რასაც თქვენ არ უბრძანებთ მათ არაფერი მსჯელობა არ შეეძლოსთ.“

კიდეც ბევრი ილაპარაკეს დელეგატების ახლად არჩევაზე და ძველების დაცევაზე.

ღვანოზმა ღამბაშიძემ განაცხადა კრების შესახებ, რომ კანონიერი რიცხვი დებუტატებისა არ არის ამისათვის ყოველივე მსჯელობა ამ კრების უკანონოდ უნდა ჩაითვალოსო, რაიცა შეეება დელეგატების დაცევაზე მე არ მჯერა, რომ რომელიმე ჩვენგანი დედგენ იმ პირობებით, რომელსაც ბუაჩიძე და მისი კომპანია ითხოვს დელეგატებისაგან. დელეგატების მოკალეობა არის ებრძოლოს სასულიერო წოდებაში გავეფხულ ბიუროკრატიულ რეჟიმს და, რამდენათაც შეიძლება, მწყემსნი და სამწყსანი ერთი-ერთმანეთს დაუახლოვონ და ეხლანდელი გამწვავებული მდგომარეობა ამ დაახლოვებით შესცდომონ მწყემსთა და სამწყსოთა სასარგებლოდ. ვინც მომხრეა აღდგინდეს ჩვენში ძველებური ავტოკეფალიზობა ამის წინააღმდეგი არ იქნება. თუ სამღვდლოებას ეს არ ესმის და ეს არ აქვს სახეში სრულებით არ არის საჭირო დელეგატები, საკმარისია ერთი კაცი აირჩიოს კრებამ, ვინც უნდა იყოს იგი, და იახლოს ხოლმე მათმა მუუფებამ. მე-კი მდლობას მოგახსენებთ და მშვიდობით ბრძანდებოდეთ; ალდა და კიდეც წავიდა.

შემდეგ კარგა ცხარე ღლაპარაკისა დებუტატებმა რწმენა გამოუტყობდეს ყოფილ დელეგატებს და სთხოვეს დარჩენა. დელეგატებმა მოითხოვეს, რომ ბოდიში მოეხადათ იმ მღვდლებს გარეშე დებუტატ-

ტებისა, რომელთაც შეუსაბამო სიტყვებით მოიხსენიეს ძველი დღეღატები. ბოდინის მოხდით გათავდა საქმე და ისევ დარჩენ ძველები.

კრების დადგენილების ჟურნალს ორი პროცენტის ვარდახდის შესახებ სასწავლებლის შესანახავად, ყველა დებუტატებმა არ მოაწერა ხელი. დეკ. დ. ლამბაშიძემ თავისი აზრი წარადგინა ჟურნალთან, რომელშიაც ითხოვდა, რომ მთელი შემოსავალი სანთლის ქარხნისა მიქცეულიყო ქალების სასწავლებლის შესანახად და სანთლის ქარხნის მდგომარეობაც კარგად გამოკვლეულიყო. ამ აზრს ის აფუნებდა მამა ფოფხავის განცხადებაზე. მ. ამბროსი ფოფხაძემ, რომელიც მართვლად არის სანთლის წარმოების საქმისა, განაცხადებდა, რომ თუ საზღვდლოების ნება დაურთველად არ იქნება მიცემული სანთლის ფულები ქალების სასწავლებელს ხუთი ათას მანეთს მისცემს და თუ ისე ეძლიათ, ფულები სანთლის ქარხნისა, როგორც ღდეს ეძლევათ ვერაფერს ვერ მისცემს სანთლის ქარხანა...

სხვაც ბერი რამე ითქვა კრების საყურადღებო, მაგრამ არა კარგის მხრით, ამისთვის აქ სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ...

ძლიერ მაცადინობდნენ სამღვდლოების კრების მტერნი, რომ მოეშალათ სამღვდლოების კრებები ყველგან. როგორც დრო მიდის ისე სამღვდლოების კრებები უფერულდებიან, სამწუხაროდ, მარტო საქართველოში. რუსეთის ეპარქიებში უმეტეს ნაწილად სამღვდლოების კრების დებუტატები ჩინებულად სჯიან და კარგად მიყავთ საქმე. ჩვენ კრებებს ცხადად ემჩნევა, რომ დებუტატები არ არიან მომზადებულნი, რომ საბაასო საგნებზე ჯეროვანი მსჯელობა იქონიონ. ხშირად გაიძახიან დებუტატები „ჩემის აზრით და სურვილით ასე უნდა იყოს“ და იმას არ დაეძებნენ მისი აზრი და სურვილი რამდენად ეთანხმება არსებულ კანონებს. აისება მოსდისთ ის, რომ ორი საათის განმავლობაში ვადასაწყვეტ საქმეს სამი დღე უნდებიან და სულ ტყუვილა უბრალოდ იხარჯებიან. დაიღ, ძლიერ სამწუხაროა. მაგრამ ნეტავი როდის შევიგნებთ დროების დაფასებას?..

ამბობენ, რომ მათმა მეუფებამ არ დაამტკიცა ამ კრების ჟურნალი ხელახლად არის დანიშნული კრებაო.

დამსწრე.

სამწუხარო მოვლენა.

იმ დროს როდესაც საქირთა მოციქული ბავლეს სიტყვისამებრ სიტყვიერი ქადაგება, მოძღვრება და დარიგება სამწყსოთა სრულებით არ სრულდება იგი მწყემსთაგან. იბეჭდება მარტო ორი-საპირისაგან მათი ქადაგება, მოძღვრება და დარიგებანი ფრიალ სასარგებლონი სამწყსოთათვის, მაგრამ ღღვეანდელი ჩვენი სამღვდლოების დაუღვენლობით, და უფრო მართალი იქნება ვსთქვათ, უტოლინარობით, საწყუხაროდ, არ ვრცელდებიან ხალხში. მწყემსი სათავეში უნდა აღდგეს სამწყსოს და ასწავებდეს მას „დროით და უღრმოვით, ანხელდეს, და სწორ გზაზედ აყენებდეს, მაგრამ რაღას ანხელს და როგორ მეთაურობას გაუწევს, როდესაც სრულებით ჩამორჩენ ზოგიერთები. სამწყსოს და მათ ერთ ერთმანეთის ხმა აღარ ესმის!..

რა მიზეზებიც უნდა მოიყვანონ მწყემსთა თავის გასამართლებლად ვერასოდეს ვერ გაიმართლებენ იკინი თავს. თუ თითოთნ მწყემს არა აქვს იმდენი განვითარება, რომ მოახერხოს ქადაგების მოძღვრების და დარიგების შედგენა სამწყსოთათვის ის ხომ უეჭველია, რომ დაბეჭდილი წაიკითხოს და თავიანთ სამწყსოს აუწყოს ყოველივე რაც მას ქეშმარიტ გზაზედ დააყენებს და რაც მას გონებით სიზნელეს მოაშორებს. მაგრამ სად სჩანს ესეთი მზრუნველობა? ძალიან ცოტა. ყოველი მღვდელი იმას გაიძახის, რომ ძლიერ ცუდი დრო დაგვიღვავაო. ხალხი აღარაფერს გვაძლევსო. მართალია ეს საჩივარი. მაგრამ მეორეს მხრით შეგხელო საქმეს. რას უნდა ასრულებდეს მღვდელი? მღვდლის მოვლეობის აღსრულებას მარტო წირვალოცვის შესრულება და საკურთხების კურთხევა როდი შეადგენს. მისი მოვალეობა არის ქადაგება, მოძღვრება და სწავლება. მაგრამ როგორ ასრულებს იგი ამ მოვალეობას? აი სწორედ ამაში ყველაზე უმეტესად კოჭლობს იგი *) და სამწყსო, შეგ-

*) ჩვენ ვამბობთ მარტო სოფლის სამღვდლოებაზე თორემ სახეში არა გვაქვს ქალაქის „მალლი სამღვდლოება“ და დიდი ნასწავლი სამღვდლოება. ისინი თავიდანვე დაუფთურდნენ თბილ ადგილების შოვნას, იშოვენ კლდეც, შეაქმნენ და სიამოვნებენ ქვეყნიური ცხოვრებით. მათ სრულებით არ აწუხებს ამ ქვეყნის წადი უკუღმა ტრიალი და სამწყსოთა უბედური მდგომარეობა.





ვიძლიათ თავიანთ ვსთქვათ, ლევის ანაბარად არის გაშვებული. სამღვდლოებებს ამ მხრით სძინავს და არა ვითარ სიხიზნოს არ იჩენს. ამით ისარგებლეს სარწმუნოება და მრევლს სრულებით გული გაუვრდილეს სარწმუნოებაზე, ეკლესიაზე და თვით სამღვდლოებაზედაც სრულებით შეუცვალეს შეხედულება. სამღვდლოება თუმცა ისე სიხარულით ეგებება განმთავისუფლებელი მოძრაობის სასურველად და ბოლოებებს, როგორც სხვანი, მაგრამ ზოგიერთი ბოროტი მქადაგებლის წყალობი სამღვდლოებებს ბრალს სდებენ, რომ ვითომც მისი დაბრკოლებით ხალხს დღემდისინა სანატრილო რეფორმა არ ენიჭებოდეს! უკულომართმა მქადაგებლებმა ისე ჩააოგნეს ხალხს, ვითომც ეკლესია, სამღვდლოება და სახარება ხელს უწყობდენ ხალხის დამონაგებას და საწყალი ხალხის დანაგვრას მდიდრებისაგან. ამისთანა ქადაგება ხომ ყოველივე სიმათლეს არის მოკლედული. მაგრამ ჩვენ სამღვდლოებებს, შიშით არის, თუ უკოდინარობით, ამხე კინტი არ დაუძრავს. თუ თვითონ ვერას მოახერხებენ და ვერა განაქარებენ ზოგიერთების უხეზაზრს, ბევრი იბეჭდება როგორც უურნალო-გაბოთებში ისე წინაგებათ და ის მაინც უნდა მოიპოვონ და წაუთხოზონ თავიანთი საწყისოთა, მაგრამ, საწუხაროდ, მათ ისიც არ იციან თუ მართლა იბეჭდება რამე წინააღმდეგ ზოგიერთ ცრუ მქადაგებულთა. რამდენი მშვენიერი წინაგებები იბეჭდება პატივცემულთ მღვდელ-მონაზონთა აღექვისა და იოსებ ლევიასაგან. მაგრამ სამღვდლოებებამ ეს გამოცემები თვიონაიც სრულებით არ იციან და ხალხს როგორ წაუკითხავს?

ავილოთ მაგალითებრ მამა აღექვის შედგენილი წინაგები „ხალხი და ეკლესია“, გამოცემული მორჩილი კაპარავისაგან ამ წელში. სხვათა შორის ამ წიგნში ვკითხულობთ ჩვენ შემდეგ:

„სახოცადოდ სუფიქს აზრი, ვითომ ეკლესიას მონასს ასწავლიდეს—გინა ქადაგებდეს. უბრალოდესი ადგილი ეკლესიაში უჭირავს სხარებს და მასში ყოვლადვე მცირე ეკლესია არა სწავს მონაბას, არამედ ერთობას და მშობას. ხოლო სომოციქლოში კი ამბობს მოციქული დამორჩილებას სელმწიფებათა, მაგრამ იკავებ მოციქული სწავს: „ნუ იქნებით მონა უცნათ“ (კორ. 7, 23) აქედან ენაერება თხოვს ის აზრი გამოყოფანთ, რომ დამორჩილება არა მონურ სსიათათს მიმართულით უთქვამს მოციქულს, არამედ სკერთო—ერთობრივი კავშირის

აზრის მასში გატარებული, რომლის სასხსნელად ქვემო მოვიყვან სიტყვას: „შეიმოსეთ ახალი იგი განსხლებული მეცნიერება, მსგავსად ხატის მის დამაბეჭებელის მისის, ხად იგი არა არს წარმართ და ურთა, წინადაცნობებებს და წინადაუცნობებებს, ბარბაროს, სკვათელ მონასს, აზნურებას, არამედ ყოვლად ეოველს შინა ქირსტე“ (კოლ. 3, 11), უწეითა, რამეთუ რომელი იგი ვანებდ მთავრად წარმართთა უფლებენ მათხედ და დიდ-დიდნი მათნი სელმწიფებენ მათხედ, ხოლო არა ვერე იფოს თქვენ-შორის, არამედ რომელსა უნდეს დიდმყოფთ თქვენ-შორის, იფოს თქვენს მასხურ“. ასე ეტუთად მაცლავრი მწაფებებს და ამას ქადაგებს ეკლესია და თუ იგი არა შეიძლება სიტყვებს მონასის მორჩილების შესახებ, ვითარ: „შეიმოთ კეისრისა კეისრსა“, აქ მონაბა სრულად არ ისხის, არამედ სახოცადობრივი საჭიროების გინა ერთობრივი მოვალეობის მორჩილებას გავსწავებს, მათ რომ ვინდ უნდა იფოს, შეუე გინა სხვა ვინმე ერის უფრისი უსთუოდ სკერთო საჭიროების სახედველად მოთხოვნილება თანამედ გეუფოს გარდახად წესდებულთა, ურთილად თანამედროვე ცხოვრებას მოუხერხებულთა; სწამს არ მადწვეს ხზნობრივი განათლება უმწიფრავლეს მონასის, სწამს ტომ-ტომად სახოცადობა არ გაერთიანდება და არ დადგება ის საკვირველი ერთობა, როგორც ქირსტეს მოციქულებს ქონდათ დაასრული, სხად „არც ერთმან ვინ სთქვის მონაგება მისი თვისად“. არა იძულებით, არამედ ნებისით.

ახლა შესაძლო არს შეკვადრთ ეკლესიის უმაღლეს ჭეშმარიტებას ბოროტ მონაბის მოძღვრება?!—ნუ იფოფინ. და თუ ვისმე სისრულით ვერ გაუგია ეკლესიის ჭეშმარიტება, ან და რომელიმე ბოლოციკან მისხურ სასულიერო ხარის ცდომით შედგეულობს და ახედბებს ეკლესიას ნათელ მოძღვრებას, შეინანეთ და სცნათ, რომ დადამანის სიბრძნე ვერ კიდევ შორსა სისრულით მაწადომად იმ საკვირველების უფსურულ სახარების მხარისისა, რომელიც არა თუ კაცის მონებას გავსწავლის, არამედ თვით ღმთასაღმად მონებისაგან გვათავისუფლებს და გაყოფებს საშეშეშობით: „თქვენ ეველანი ძენი ღმთისანი და შეაღწი მადლიანნი ხართ“. არს გეტყვი თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის არას იქმს უფალი მისი. ხოლო თქვენ გარქე მეკობრად ჩემად. თქვენ მეკობარი ჩემი ხართ (იოან. 15). სხად ცდლის წამება ეკლესიისადმი, ვითარცა ასწავებს იგი მონამან?! დაუკვირდით უმცარნო და ისწავეთ ჭეშმარიტება ეკლესიისა, რამეთუ უკეთუ დღერთი თვისადმი კანდერ ვეოფს

არს მონად წოდებად, რადგან საკმობელ არს ცრუ-შესქმნა ეკლესიის, ვითომ სწავლადეს კაცთა მინიბას, მაშინ რადგან სუერთოდ განუწრეგლად წოდების ჩამადლებს ადამიანს და იტყობს: ვითარცა შენ მამაო ჩემადლა და მე შენადმი, რათა ივინიცა ჩვენ შორის ერთ-იუენენ, რათა სოფელსა წმუტეს, რამეთუ შენ მომავდინე მე და მე დადებს, რომელიც მომეც მე, მიუერ მათ, რათა იუენენ ერთ, ვითარცა ჩვენ ერთ ვართ—მე მათ შორის და შენ ჩემთან, რათა იუენენ სრულ ერთობითა⁴.

წაუკითხავს ჩვენს სამღვდლოებს ეს წიგნაკი? სრულებით არა. რატომ? მიტომ, რომ იგი სრულე-ბით არ მაცადინობს მოიპოვოს და მოძებნოს სასარგებლო საკითხავი წიგნები. ბევრს ბრძანებდენ ახალ ჟურნალ-გაზეთების გამოცემებზე, ბევრი სიტყ-ვები დახარჯეს სხვა და სხვა ზნეობრივი სახალხო საკითხავების გამოცემათა შესახებ, მაგრამ ერთი სიტყ-ვა მათი არ ასრულებულა! ვისგანაც რამეს მოვე-დოდით და შემწეობას ველოდით იმათგან საქმის დახმარების მაგიერ დიდი დაბრკოლება აღმოაჩინეს ხალხში სასარგებლო წიგნაკების გავრცელებას. რა საკვირველია, არიან ისეთი მღვდლები, რომელნიც მაცადინობენ კეთილად, მაგრამ მათი რიცხვი დღეს ცოტაა.

წინეთ ყველაფერს აბრალებდენ ბექდვითი სიტყვის თავისუფლების უმეჭონებლობას. დღეს მიენიჭათ თავისუფლება და ყველა ბიჭებს აძლევენ რედაქტორობის და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ნებას! დიდის ამბით დიწყებს უცენზურო ჟურნალის გამოცემა თფილისში. რედაქტორობის ბაი-რახი დიკავა მღვდელმა. შევიკრიბენ „უმაღლესი“ სამღვდლოება თფილისისა, მიემატენ ქუთაისიდანაც, ვფიქრობდით, რომ სწორეთ ესლა წვაა საქმე რიგინად მეთქი. წარმოიდგინეთ, ჟურნალის გამო-ცემა შეჩერდა. ვიფიქრეთ, სწორეთ ცხარე სტატეგია-ბისთვის გენერალ-გუბერნატორმა ჟურნალი შეაჩე-რა. რა ბრძანება, ჩვენი ფიქრი ტყუილი გამოდგა. გენერალ გუბერნატორს ხმაც არ გაუცია ჟურნალისთ-ვის. რედაქტორი ჟურნალს ბექდავდა თავის საკითხ-ავად კი არა სამღვდლოებისა და საზოგადოების საკითხავად. ბევრს სამღვდლოებას ჟურნალ-გაზე-თების კითხვა სასარგებლოდ არ მიანიია და ფულს არ იძლევა რაც უნდა იაფრფასის იყოს. რედაქტორს და მოთავეებს „აჟა“ შემოღვევით და გამოცემა ამიტომ შეჩერებულა! დიად, ჩვენი სამღვდლოები-საგან რაც გინდა მოითხოვეთ მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების კითხვას ნუ მოსთხოვთ...

არ გვჯერა, რომ ამ სამღვდლოებას არა თუ ერთმა, არამედ ოთხმა კათალიკოსმაც აღამადლოს იგი გონებით!..

მღვდელი.

წერილი ლ. 6. ტოლსტოისა გურულეების ჩინ

მე ძლიერ მსურს გარდაესცე გურულეებს ჩინ გრძნობა და აზრები, რომელნიც მებადებიან მათი გასაკვირველი მოქმედებით. გარდაეცით მათ, რომ აი, არის ერთი მოხუცი, რომელიც ოცი წლ განმავლობაში მხოლოდ მასზედ ფიქრობს და სწერს, რომ ყოველივე ხალხის უბედურება იმისაგან არის, რომ ხალხი ელის თავიანთ ცხოვრების გაუმჯობეს-ობას და მათი ცხოვრების კარგად მოწყობას სხუ-თაგან, მთავრობისაგან და როდესაც დარწმუნე-ბიან, რომ მთავრობისაგან მათ არ ეძლევათ შეზ-წეობა და წესიერი ცხოვრება, მაშინ დაიწყებენ მთავრობის აუგობას და მის წინააღმდეგობას, რომ ამას არც ერთი და არც მეორე არ უნდა ჩაიღო-დენ: არ უნდა ელოდენ მათგან არც შემწეობას და არც წესიერებას, არც წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ მთავრობას, არც უნდა გაუჯავრდენ და არც უნდა თვან მას. საჭიროა მხოლოდ ერთი: ის არსაც ჩაძინებელი გურულეები; და სახელეობი: ისე უნდა მოაწყონ თავის ცხოვრება, რომ არ სა-ჭიროებდენ მთავრობას. იმისათვის, რომ მთავრობა ჩვენთვის საჭირო არ იქნეს უნდა მოიქცნენ ისე როგორც იქცევიან ესლა: იცხოვრონ სვინდისი-რად, ქრისტიანულად, უფრო მოკლედ ვიტყვი დვითურად. თუ შეიძლება გარდაეცით მათ რა დი-დი სიხარული გამოსცადა ამ ბერიკაცმა, როცა გაიგო, რომ ის, რამედაც იგი ფიქრობდა ამდენი წელიწადი და რაც სწავლულეობა და რომელნიც ბრძენობას ჩემოდდენ არ ესმოდათ და არ წმინდათ რომ იმას მხედდენ თავის გონებითა და თავის სვინდისით გარდასწყვიტეს ათასმა ხალხმა და არა თუ გარდასწყვიტეს, არამედ მოახერხეს საქმეთ ექციათ და მიყავს იგი ისეთი სიმტკიცით და კარგად, რომ მეზობელნი ხალხნი შეუტრთდენ მათ. უთხარით მათ, რომ ეს საქმე საპატივო და კარგია და ამისთვის უნდა ყოველი ძალა მოისმარ-ონ (ძალა სულიერი: მორჩილება, მოფიქრება და მოთმინება) იმისთვის, რომ მიყვანონ იგი ბოლომ-დისინ, რომ ვახდენ სამაგალითოდ როგორც მოყ-ვასთა ისე შორეულ მცხოვრებ ხალხთათვის და

*) ეს წერილი მიღებული იყო 1905 წელს გრაფ ლ. 6. ტოლსტოის მგობრისგან, რომელიც კავკასიაში სცხოვრებს. რედაქტორი.

ამით შეიქმნენ ღვთის მეუფების დასაწყისად არა ძალითა თვისითა და მოტყუებითა, არამედ გონიერებით და სიყვარულობით. უთხარით მათ, რომ არა მარტო მე, არამედ სხვა მრავალიც მოხარულია მათზე, მზათ არიან ყოველივე ღონით, თუ შესაძლებელი და საჭიროა, დავებმართო მათ, ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, დაიწყეს რა ესეთი დიდი საქმე, რომელზედაც ამდენი იშრომეს, იგინი არ დატოვებენ მას და ეცდებიან მოიქცენ სხვა ხალხთა სამაგალითოდ.

უთხარით მათ, რომ ეს მოხუცებული კაცი ფიქრობს, რომ უმთავრესი ძალა მათი უნდა იყოს მიმართული იმაზე, როგორც თვითონ განაცხადებენ, იცხოვრონ ქრისტიანულად, სვინიდიისტირად, აღსართლებდენ ქრისტეს სჯულსა, რომელიც არის როგორც ქრისტიანეთათვის ისე მამკალინთა და ყოველ ხალხთათვის. ეს სჯული მასში მდგომარეობს, რომ შევიყვაროთ ყოველი კაცი და მოვიმოქმედოთ სხვისთვის ის რაც ჩვენ გვსურს სხვისგან.

თუ ისინი იცხოვრებენ ასე ღვთიურად, მაშინ მათ არაფერს არ უშინან. თუ ისინი იქმნებიან ღვთისათნა, ღმერთი იქმნება მათთან, და არავის არ შეეძლება მათ ხელი შეუშალოს.)*

1 თებერვალი 1905 წელს.

*) რამდენად შემდარია თავის მოფიქრებაში ბ. გრაფ ტოლსტოის ყველა აშკარად მიხედება... გრაფ ტოლსტოის გურულები წარმოუდგენია ღუბობორებად; რომელიც არავის და არსად ძალადობას არ უწევდენ. მაგრამ მაინც ვერ გასძლეს და მოიღად გარდაესახლენ ჩვენი სახელმწიფოდან. გრაფ ტოლსტოი ურჩევს, რომ ქრისტიანობრივი სიყვარულობით იცხოვროთ, იცხოვრეთ ქრისტიანულად და ის ვერ გაუგია კიდევ, რომ დღეს ქრისტიანული ცხოვრება ბევრს აღარც სწამს. საქმეს სწევებს ყუმბარა და ტყვიანამალი და ქრისტეს მცენიერებისამებრ სიყვარული სად არსებობს.

ესწერილი რომ წაიკითხე გამახსენდა დათვის საქციელი, როცა თავის მგობარს დიდი სამსახური გაუწია და შუბლიდან მუხტი მოაშორა. ასეთი შურათსცემთა გვონებ არავის არ მიუყენებია გრაფ ტოლსტოისათვის. სწორედ სამწუხაროდ მდგომარებაში უნდა იყოს ჩავარდნილი გრაფ ტოლსტოი! კარგი იყო, რომ გრაფ ტოლსტოი ქრისტეს შესახებ ექმნის გომარეობად დაკითხვად; ის გვონებ კარვად აუხსნიდა რაც არ სცოდნია გრანს!..

რედ.

სახელმწიფო ვალები.

გაზეთი „ოკო“ შემდეგ საინტერესო ცნობებს იძლევა რუსეთის სახელმწიფო ვალების შესახებ.

რუსეთის სახელმწიფო ვალები, მარტო გრძელვადიანი სესხი რომ ვიანგარიშით და სრულად თავი დავანებოთ მოკლე ვადას სესხებს, შეადგენს 8.585 მილიონს. ამ ვალიდან ორ მილიარდზე მეტი რუსეთის ანხინის ომის გამოცხადების შემდეგ დაელო რუსეთს, მანამდე ვალი შეადგენდა 6,640 მილიონს. ამ ქვესახეგარ მილიარდიდან 3,061 მილიონი მისმარდა საერთო სახელმწიფო სჭარბებებს, ხალხი 3,189 მილიონი კი საერთოდ გერედ წოდებულ სარკინისგზო ვალს წარმოადგენს. არსებითად სარკინისგზო ვალები საზიანისთვის არავითარ ტვირთს არ უნდა შეადგენდნენ, რადგან რკინის გზები თითონ უნდა იძლეოდნენ ვალის დასაფარავ ფულს და ზედმეტ შემოსავალს, მაგრამ ნამდვილად ეს ასე არაა. რკინის გზებზე დასაფარავად 4,189 მილიონი (3,289 მილიონი სესხად აღებულია 1 მილიონი ჩვეულებრივ სახელმწიფო შემოსავლიდან 1892 წლიდან 1901 წლამდე); ამასდამაუხედავად რკინის გზები წელიწადში 80 მილიონ სარალს იძლევიან.

ყოველ წლიური ხარჯი, გამოწვეული სახელმწიფოს დავალიანებისგან, ამ ჟამად 378,8 მილიონს უწევს.

რუსეთის ბიუჯეტი 2,027 მილიონს შეადგენს. ამიტომ პირველის შეხედვით 378,8 მილიონ ვალების გასასტუმრებელი ეყოკლწითა ხარჯი თითქმის არც ისე დიდია, მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსეთის ბიუჯეტი ხელფონურად არის გაბერალი გარდამავალ ხარჯების შიგ შეტანით, რადგან ბიუჯეტში არა წმინდა შემოსავალია, არამედ მთელი შემოსავალი და გასავალი; მაკალითად, ნავარაუდევია და შეტანილი ბიუჯეტში 474,8 მილიონი შემოსავალი და 477,7 მილ. გასავალი. ამ კუარად ხატარა ციფრის სმ მილიონის ნაცვლად ნაჩვენებია თითქმის ნახევარი მილიარდი შემოსავალში და ამდენამე გასავალში.

საზრთ-დრიცვის შედგენის ასეთ სისტემას წყალობით რუსეთის ბიუჯეტი სსმხნლად დიდა. მგრამ სმართლიანი ანგარიშისთვის სჭაროა, გამოარტვბოს მთელის შემოსავლიდან საზიანის სუცააღური მეურნეობითი ხარჯები. ასეთ ხარჯებს ეკუთვანს გასავალი რკინის გზის ექსპლუატაციაზე და საზიანის ქარხნებზე. დვინის ვაჭრობის მონობოლააზე და სხვები. ამ სმარ.



თლიან წესზე რომ დაიწეროს ბიუჯეტი, მაშინ ბიუჯეტის რაოდენობა იქნება 1,250 მილიონი და გრძელვადიან სესხებით გამოწვეული უფაღწელიური ხარჯები კი 30,3% იქნება მთელის ბიუჯეტისა. ამის რომ წერილ ვადაინა სესხები მივუშრტოთ, მაშინ უფრო სსმწუხარო შედეგი იქნება!

ახუთ მდგომარეობის მოუხედავად სსმხედრო სსმინისტროსთვის გადადებული 3748 მილიონი, სსხდვარო სსმინისტროსთვის 104 მილიონი და სუფ სსხელმწიფო დავის სსკაროებაზე 478,8 მილიონი. ამსთხნავე ეფეას სსხვ სსხსლხო სსრჯებისთვის რჩება 392,4 მილიონი.

მართლაც, სსხელმწიფო ვალები ქსხვ ეფეას თხნამედროვე სსხელმწიფოს მუწუას შეადგენს, მაგრამ არსად ეს ვალები ისე მძამე ტვართხ არ წარმოადგენენ, როგორც რუსეთში. მავალითასთვის მთავიეფხთ ვალების ცხრადის. ვალი ნამეგნებია ამ ცხრადში მილიონებად და რუსული ფულზე.

ვალი საფრანგეთისა	10,411
„ ინგლისისა	7,309
„ იტალიისა	4,651
„ ავსტრო-უნგრეთისა	2,078
„ შვედეთ. შტატებისა	1,993
„ გერმანიისა	1,003
„ რუსეთისა	8,585

ამ გვარად დავალიანების მხრეო ზირეული ადგილი უკავია საფრანგეთს, ხოლო მეორე რუსეთს. ნამდვილად ვალი არც საფრანგეთისთვის და არც სსხვ სსხელმწიფოსთვის ისეთი მძამე ტვართხ არ არს, როგორც რუსეთისთვის. თრთა შუა რიცხვით რუსეთი ისდის ვალში თათოეულ ხს მანათ ვალზე 4,4 მან. სარკებულს, საფრანგეთა—3%, ინგლისი 2 1/2%, რუსეთი რომ სსმ პროცენტს ხსდადეს საფრანგეთისთვის, იმ ფულით, რომელიც ქსხვ სარკებულში მისდის, დაჭფარვლად 12,6 მილიარდ ვალის სარკებულს.

გარდა ამის დიდი განსხვავებია იმ მხრეო თუ ვინ არიან რუსეთის და სსხვ სსხელმწიფოების მთავალხნა. რუსეთს უცხო ქეგნებისა წმართების და უცხო ქეგნეულეებს მთაქმთ სარკებულეო, სსხვ სსხელმწიფოების კი უმთავრესად თავის მთაქლაქეებისა.

წარილი ქაეხიდაან.

3 ენკენისთვის ქენევაში დასაფლოავეს ცნობილი სოც.რეეოლიუციონერი გოტცი. რომელმაც სსმითვის წინად დიბლომატიური ინცინდენტი გამოი-

წვია რუსეთს და იტალიას შორის. მკითხველს შეიძლება ახსოვთ, რომ 1903 წელს იტალიის მთავრობამ დაპატიმრა ციმბირიდან გაქცეული პოლიტიკური ტუსადი სტუდენტი გოტცი და რუსეთის მთავრობისთვის უნდა გადაეცა, მაგრამ მის გამოყარწლა იტალიის სოცილისტური პარტი რომელმაც თვის წარმომადგენლების პირით პარლამენტში გამოაცხადა, რომ მთავრობის საქციელი უკანონოდ მანინა, და შესაფერი ხერხი ინმარა გოტციას გასანთავისუფლებლად. საქმე ის არის, რომ იმ ხანებში იტალიას სტუმარი უნდა სწევოდა რუსეთიდან. იტალიის სოცილისტებმა ამ მოხერხებულ შემთხვევით ისარგებლეს და განაცხადეს: თუ იტალიის მთავრობამ გოტცი რუსეთის მთავრობას ვადასცა, ჩვენ იტალიელ სოცილისტები, სტვენთა და კიეინთ დაუხვდებით სტუმარსო. მუშარამ ვასქრა: იტალიის მთავრობამ გოტცი განთავისუფლა, ხოლო რუსეთმა გამოაცხადა. რომ სსხვ და სსხვ მიზნებისა გამო მგზავრობა იტალიაში სსხვა დროისთვის ვადაილოო.

იმ დროიდან ვანსვენებული გოტცი საზღვარ-გარე მუშაობდა და თავისი წვლილი შეიტანა განმთავისუფლებელ მოძრაობაში. იმის დასაფლოავებს რამდენიმე ასი კაცი დავსწრო, მათ შორის ცნობილი რუსი პუბლიცისტი ალ. ამფიტეატროვი და არა ნაკლებად ცნობილი ს.რეეოლიუციონერი რუბანოვიჩი, რომელთაც შესაფერი სიტყვები უსდევეს განსვენებულს.

ამ ამბით ვისარგებლე და ვავიცანი ბ-ნი ამფიტეატროვი. მე შორიდან ვიცნობდი ამფიტეატროვის და ვიცოდა, რომ რუსეთის ლიტერატურაში და არსებულ პარტიებში მის განსაკუთრებული პოზიცია უქირავს, რომ ის თავის პოლიტიკურ მიმართულებით ფედერალისტთა ჯგუფს ეკუთვნის. ვავიგე ისიც, რომ ამფიტეატროვი საქართველოში ყოფილა და დაახლოებებით იცნობს საზოგადოდ კავკასიის საქმეებსაც. ბევრნი არ დავთანხმებით ამფიტეატროვის აზრს რუსეთის ვითარების შესახებ, მაგრამ მაინც საინტერესოდ მიმანინა ვავაცნო მკითხველმს.

მე არც ერთ არსებულ პარტიას არ ვეკუთვნი. ვეწერები ამა თუ იმ პარტიაში—ამაზედ ლაპარაკი შორის წავგიყვანს. მე დავასახვლებ ჩვენი უთანხმოების მთავარ მიზანს: ჩემი პოლიტიკური მიმარ-



თულება და რწმენა არ უდგება არც სოც.-რევოლიუციონერებისა და—მით უფრო—არც სოც.-დემოკრატების პოლიტიკურ პროგრამებს. პირველნი სოც.-რევოლიუციონერები ნახევარ ზომებით კმაყოფილდებიან და თანხმანი არიან ზოგიერთა განაპირა ქვეყნებს ავტონომია დაუთმონ, მეორენი—სოც.-დემოკრატები ცენტრალიზმს ეტრფიანდებიან, მე კი უპიკურესი დეცენტრალიზმი ვარ და მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ფედერაციის გარდა მე არ მესმის დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც რაღაც შეცდომად გაუგებრობად მიმაჩნია. შეუძლებელია ცენტრალიზმი დემოკრატიული იყოს და—პირიქით—შეუძლებელია დემოკრატია ცენტრალისტური იყოს. მათი მორიგება ისევე შეუძლებელია, როგორც ცეცხლისა და წყლის ერთად მოთავსება.

რაც შეეხება ეხლანდელს მომენტს, მე იმ აზრის ვარ, რომ ყველა რევოლიუციონური პარტიები, ყველა რუსეთში მოსახლე ერები და ყველა დემოკრატიული ელემენტები ერთ მძლავრ აზრშიად უნდა შეერთდნენ და საერთო ძალით, საერთო იერიშით გარდაქმნან თანამედროვე რუსეთი. ეხლანდელ რუსეთის ნაწვრთვებიდან აღორძინდება ახალი, მძლავრი, თავისუფალ ერებისაგან თავისუფლად შედგენილი კავშირი, რომელსაც სახელად ერქმევა „რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა“.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ მიერ დახატულ პოლიტიკურ სახლის აშენებას, სრულიად რუსეთის ფედერაციის შექმნას უფრო მეტი შრომა და ბრძოლა დასჭირდება, ვიდრე თანამედროვე რუსეთის დანჯერვას, მაგრამ სამაგიეროდ ფედერაცია ისეთ სარგებლობას მოუტანს რუსეთს, რომ მის მიერ ფედერაციის საკურთხეველზე შეწირული მსხვერპლი ტყვილად არ იკარგება. მაგრამ თუ დღევანდელი ბრძოლა მხოლოდ კულმოკვეცილ კონსტიტუციით გათავდა და ცენტრალიზმის პოლიტიკა ხელუხლებელი დარჩა, იცოდეთ, რომ მოკლე ხანში დაიწყება მეორე ბრძოლა არა რუსებისა რუსეთის მთავრობასთან.

შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე. ბ-ნ ამფიტეატროვს, რომელმაც 21/2 წელიწადი გაატარა საქართველოში, სრულიად არა სკოდნია საქმის მდგომარეობა საზოგადოდ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში,

რაც მან მალე აღიარა. კავკასია მას ისე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, სადაც მხოლოდ თათრები და სომხები არღვევენ ერთსულოვანებასა და რევოლიუციონურ ჰარმონიას.

—მართალი უნდა გითხრათ, რომ მე სომხებს უფრო დაახლოვებით ვიცნობ, ვიდრე ქართველებს, თუმცა ქართველებში ორ წელიწადზე მეტი გავატარე, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეხლანდელი საქართველო მაშინდელ, 1891 წლის, საქართველოს სრულიად არ უნდა ჰგავდეს. მე ძალიან მიყვარს ქართველები და დიდ პატივსა ვცემ მათ, როგორც ერს, რომელსაც თავისუფლობისთვის და თავის არსებობისთვის სისხლის დაღვრა შესძლებია, მაგრამ დღემდის ვერ გამოვიდა მათი სურვილი და ტაქტიკა. აიღეთ, მაგალითად, სომხები. მათ შორის არ მიცხოვრია, მაგრამ ზედ-მიწევნით ვიცნობ მათ ყოფა—ცხოვრებას, პოლიტიკურ მდგომარეობას, მისწრაფებას და სურვილს. მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ სომხები მთელ ქვეყანაზე ყვირიან და მთელ კაცობრიობას შესჩივიან, რომ ისმალეთი და რუსეთი სტანჯავენ და ახჩობენ სომხებს. მთელი ვეროპა იცნობს მათ და თუ რეალურად ვერაფერი უშვებია ვერც ოსმალეთისა და რუსეთის სომხებისთვის, სხვა რომ არა იყოს რა, მორალურად მაინც ეხმარება. ამას კი ჩვენ დროში დიდი მნიშვნელობა აქვს.

რადას შერბიან ქართველები? იმ დროს, როცა აღიხანოვმა მთელი საქართველო აიკლო, ააოხრა და გადაბეჯა, ვეროპამ არაფერი იცოდა და ისე ეგონა, ვითომ რუსეთის მთავრობა სადაღაც კავკასიის კლდე-ღრვებში ჩაჩხირთა ველურებს ამშვიდებოდა. წრულ ქართველები პირველად გამოვიდნენ ვეროპის საზოგადოებრივ აზრის წინაშე და რამდენჯერმე სცადეს პრესისათა და მიტინგების გამოართვით* ვეროპიელთა ყურადღების მიქცევა, მაგრამ პირველმა დებიუტმა მიზანს ვერ მიაღწია. პოლონელები ან ფინლიანდლები რომ ისე აეკლათ და გადაებეჯათ, როგორც ქართველები, მთელი კაცობრიობა ყალყზე აღებოდა და უბრალო სიტყვიერ პროტესტითაც კი ცივ წყალს გადაასხამდა თვითნებობით გაბატონებულთ. მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ ქართველები ჯერ გამოუცდენი არიან და გულუბრყვილოდ სჯერათ, ვი-

საქართველო

თამც ბურჟუაზიულ ევროპას სოციალისტის ენას ესმისო. რა საქიროა თავის თავისა და ხვის მოტყუება? ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ღღევანდელ ევროპა სოციალისტურად და ფსიხოლოგიურადაც არხიბურჟუაზიულ ორგანიზმს წარმოადგენს. მაშასადამე, თუ ქართველებს სურთ, რომ ამ ორგანიზმმა მისი დარდი და ჩივილი გაიგოს, სოციალისტური ენა და კილო ჯერ-ჯერობით მაინც ვეგრდელ უნდა გადასცეს და საკუთარს, ეროვნულ ენით უნდა ელაპარაკონ. გოიტემ სიტყვა: ვისაც პოეტის გაგება უნდა, ის პოეტის სფერაში უნდა გადასახლდესო. ასევე ითქმის ამ შემთხვევაშიაც: თუ გინდათ, რომ ბურჟუაზიულმა ევროპამ მხარი მოკეთ და მორალური თანაგრძნობა გაგიწიოთ, მისთვის გასაგებ ენით უნდა ელაპარაკოთ.

კარგად ვიცნობ ევროპელებს და დანაწილებებით შემძლიან ვთქვა, რომ ევროპელები თანაურგნობენ და მხარს უჭერენ რუსეთის რევოლიუციას იმდენად, რამდენადაც ეს რევოლიუცია საერო, საზოგადო და ბურჟუაზიული პროცესია, მაგრამ თუ შეატყეს, რომ რუსეთის ხალხმა ბურჟუაზიულ რევოლიუციის საზღვარი გადალახა და სოციალისტურ რევოლიუციაში შეტრია, გარწმუნებთ, იგივე ევროპა წინ აღუდგება იმ რუსეთს, რომელსაც გულში თანაურგნობდა და აქვებდა. როცა პოლონელები და სომხები ჩივიან და ატყობინებენ ევროპას და მთელ ქვეყნიერობას, რომ რუსეთში არის პოლონელთა და სომხთა ეროვნება, რომლებსაც რუსეთის მთავრობა სჩაგრავს და სულს ართმევსო, ევროპელებს და ამერიკელებს, რომლებსაც თავის თავებდაც გამოუტყლიათ ეროვნული ჩავგრა და მონობა, ღრმად ესმით დანაგრულ პოლონელებისა და სომხების მდგომარეობა და რითაც კი შეუძლიანთ. მხარს უჭერენ და ეხმარებიან. მაგრამ როცა იგივე პოლონელები და სომხები იმავე ევროპას სოციალისტურ ენით ელაპარაკებიან და უსწივიან, რომ კავკასიასა და პოლონეთში კაპიტალი სჩაგრავს მშრომელ ხალხს და გთხოვთ დანაგრულებს დაეხმაროთო, ევროპელები მხრებს იშვეშენიან და უარს ამბობენ უბრალო თანაგრძნობაზედაც კი, რადგან ეს მათთვის ძველი და ნაცნობი ხილია, რომელიც ევროპაში უფრო იაფად ფასობს, ვიდრე პოლონეთისა და კავკასიაში. პოლონელებმა და სომხებმა დიდი ხანია გაიგეს ევროპელების გემოვნება, მათი ფსიხოლოგია და ამიტომ საკითხს ყოველთვის ეროვნულ ნიდაგზე აყვებენ და არა სოციალისტურ, ქართველებს კი ჯერ ვერ გაუგიათ ევროპის გემოვნება და ამიტომ მათი პირველი დემიუტი ჩაიფუშა.

მაგრამ ამ ნიდაგზე მარტო ქართველებს დგანან. საზღვარ გარეთის რუსი სოციალისტებიც ამ გზას აღდგანან და ძალიანაც სცდებიან. რაც შეეხება სომხებს თათართა ხოცვა-ჟლეტას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში ბანისლიმისტურ მოძრაობას პირველი ადგილი უჭირავს. პირველად მე მჯეროდა, რომ მთავრობა ხელს უწყობდა სომხ-თათართა მოქალაქობრივ ომს, მაგრამ ესლა აზრი გამოვიცვალე. შეიძლება პირველად ასე იყო, მაგრამ ზაზოვადოდ რომ ვთქვათ, მთავრობა არც იმდენად სულელია, რომ თავისვე ხელით გამოიქრას ყელი. შეიძლება იგი ან სომხებს ესაჩხლებოდეს, ან თათრებს თანაურგნობადეს, მაგრამ ამ ომის გადათავება მისთვისაც ისევე სასარგებლო იქნებოდა, როგორც თვითონ მეომართათვის ელაპარაკი გადავიდა სამზღვარგარეთელ ქართველებზე.

—მე მუდმივ პარიზში ვცხოვრობ. ხშირად დავდივარ ევროპის სხვა და სხვა ქალაქებშიაც, მაგრამ ღღემდის არც ერთი ისეთი ქართველი არ შეხვედრია, რომელიც ერთი გოჯით მაინც მალა იდგეს ჩვეულებრივ მოსწავლედ ახალგაზობაზე, მაგალითად, პარიზში მოდიან ან გაკატრებული თავადები, ან ავანტიურისტები, ან ახალგაზდა მოსწავლეები, ეროვნულ საქმით გატაცებული კიდემდის მათ უზრის არც ერთი არ შეხვედრია. სულ სხვა ნაირად იქცევიან სომხები. ისინი მთელ ევროპას მოედენენ და აუარებელ მასალთ დატორთულნი ყოველ დღე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის კარებებს აბრახუნებენ. ამ მოკლე ხანში მე სამი დიდი წერილი დავწერე მათ შესახებ, ქართველების შესახებ კი ხმასაც ვერ ვიღებ, რადგან მათ შესახებ არაფერი არ ვიცი და ძალიანაც რომ მიწოდდეს რისამე გაგება, არავინ არ შემეძტობინებს.*.) („მეგობარი“)

*.) დიად, დიდი საქირო არის ქართველობამ თავი გააცნოს ევროპის ხალხს, მაგრამ როგორ დაჯერებთ ზოგიერთ ჩვენ ვაუბტონებს ჩვენი შესანიშნავი, დოქტორი დოსტოევისა და მენდელინის, დოქტორი დვითის-მეტყველების და მალისტრი ფილოსოფიისა, იოანე გომართელი დასცინოდა ერთ მწერალს, რომელიც სწრად ამის შესახებ, რომ საქართველო უნდა გაეცნოთ ევროპის განათლებულ ხალხს, თუ ვესალის რომ მათაც ხმა ამოიღონ ჩვენთვის როცა საქიროთ. დღეს ჩვენი ვიტყვით, საქირო აღარ არის ამ სავნის შესახებ წერა, რადგან გ. გომართელი უტყლოვნი ბრძანდება და მიტინგებზე თავისი „მევერმეტყველუნი“ სიტყვებით გააცნობს ყველას თავის თავს და მთელს საქართველოს... რად.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ზეტერბურგა, 6 ოქტომბერი. ოფიციალურად უმაღლესი სახელობითი რესკრიპტი სენატს სოფლის მცხოვრებთა და სხვა ყოფილ მესარჯე წოდებათა ზოგიერთ უფლებების შემზღუდავ კანონთა გაუქმების შესახებ.

გლეხთა უფლებების გათანაწორება იმპერიის სხვა წოდების მცხოვრებლებთან დიწყოა დიდებულის რეფორმით 1861 წ. 19 თებერვლისა. ესლა, ჩვენგან გამოცხადებულის 6 ავისტოს და 17 ოქტომბრის მანიფესტების შემდეგ, რომლითაც სოფლის მცხოვრებნი მოწოდებულ იქმნენ საკანონმდებლო მოღვაწეობაში მონაწილეობისათვის, ჯერ-არს დამთავრებულ იქმნას ბრძნული განზრახულებანი განმანათლისულებელ—მეფისა ჩვენგან ნაუწყებებს სამოქალაქო თავისუფლების და კანონის წინაშე თანასწორობის საფუძველზე რუსეთის ყველა ქვეშევრდომთათვის ამ მიზნის მიხედვით სხვა საკანონმდებლო საშუალებებთან ერთად ძირითადი ცვლილება უნდა მოხდეს იმ კანონში, რომელიც განსაზღვრავენ აღგილობრივ მმართველობას ტსამართალს. ამის შესაფერი კანონ-პროექტები ამ ყამად მზადდება განსახილველად წარედგინება სახელმწიფო სათათბროს, როდესაც იგი გაიხსნება. გარდა ამისა გლეხთა და სხვა ყოფილ მესარჯე წოდებათა შესახებ კანონებში დღევანდლამდე დარჩენილია ზოგიერთი ისეთი დადგენილებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან 1905 წლის 6 ავისტოს და 17 ოქტომბრის მანიფესტების დედა აზრებს და საერთო ხასიათს და რომელთაც ამათთანავე უკვე რამდენადმე დაჰკარგეს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა საურთიერთო პასუხის მეტელობის და გამოსასყიდ გადასახადების გაუქმების შემდეგ. ვცანი რა საჭიროდ, ესლავე გაუქმებულ იქმნან ასეთი შემზღუდავი დადგენილებანი, და მოვიწონეთ რა ამ საგნის შესახებ ჩვენდამი წარმოდგენილი მინისტრთა საბუკის ყურნალი, ჩვენ ძირითად სახელმწიფოებრივ კანონთა კრებულის მე-87 მუხლის ძალით გბრკანებთ:

1) მიენიჭოს რუსეთის ყველა ქვეშევრდომს, მიუხედავად შთამომავლობისა, გარდა არა რუსებისა (ინოროდცებისა) (კანონთა კრებული ტომი 9, გავმოცემა 1899 წ., მუხლი, 762) სახელმწიფო სამ-

სახურის შესახებ თანასწორი უფლებები, როგორც ეს უფლებები განსაზღვრულია თავდა-აზნაურთათვის, და გაუქმებულ იქმნან ყველა უპირატესობანი, რომლებიც კი არსებობდნენ აქამომდე მთავრობის მიერ სახელმწიფო სამსახურში განწყების შესახებ წოდებრივობის მიხედვით.

2) განთავისუფლებულ იქმნან სოფლის მცხოვრებნი და სხვა ყოფილ მესარჯე წოდებათა პირები: ა) ნებართვის განაჩენთა წარმოდგენისგან; როცა სასწავლებლებში ან სახელმწიფო სამსახურში შედიან, აგრეთვე პირად ნატურალურ ბეგარის ასრულებისაგან და საზოგადოებრივ სამსახურის გაწევისაგან, ვიდრე ეს პირები სასწავლებლებში იმყოფებიან ან სამსახურს ასრულებენ და ბ) წარმოდგენისაგან საზოგადოების ნებართვისა, როდესაც ან სასულიერო წოდებაში გადადიან და ან ბერად იმოსებიან, სახასიათო პალატის თანხმობისა და გუბერნატორის ნებართვისა.

3) გაუქმებულ იქმნას სავალდებულო გამოიცხვა სოფლის მცხოვრებთა და სხვა ყოფილ მოხარჯე წოდებათა პირებისა საზოგადოებისაგან: ა) როდესაც ისინი სამოქალაქო სამსახურში შედიან, ბ) როდესაც ჩინები ეძლევათ, გ) როდესაც ორდენებს ან სხვა რამ ჯილდოს იღებენ, დ) როდესაც სამეცნიერო ხარისხს და სახელს იძენენ და ე) საერთოდ როდესაც უმაღლეს წოდებრივ უფლებებს იძენენ; ამ შემთხვევაში მათ შეუძლიან თავის საზოგადოების წევრებად დარჩენენ, ისარგებლონ, ვიდრე თავის ნებით ამ საზოგადოებიდან გამოიწერებიან ან იმ უმაღლეს წოდებაში გადირიცხებიან, რომლის უფლებები მიიღეს. ყველა ამ უფლებებით, რომელთაც მათი საზოგადოება იძლევა, იმ პირობით კი, რომ სათანადო მოვალეობანიც ასრულონ; ამასთანავე სამართლის, სასჯელის და ბოროტ-მოქმედების სხვა მუდგებების მხრივ ეს პირები ემორჩილებიან იმ დადგენილებებს, რომელნიც მოქმედებენ მათ მიერ შექმნილ უმაღლეს წოდების კაცთა შესახებ.

4) მიეცეს ნება იმ სოფლის მცხოვრებთ, რომელნიც სოფლის საზოგადოებებს ეკუთვნიან: ა) შევიდნენ თავის საზოგადოების ნებართვის მიუხედავად სხვა სოფლის საზოგადოების წევრად—იმ პირობით, რომ ვიდრე ნებაყოფლობით ამ საზოგადოებიდან გამოვიდნენ ისარგებლონ ყველა უფლებებით, რომლებსაც საზოგადოების წევრობა იძლევა





და აგრეთვე აასრულონ ყველა მოვალეობა და ბ) დაუყოვნებლივ მიიღონ ხოლმე. მას შემდეგ, რაკი უარს განაცხადებენ საზოგადოების მიწით სარგებლობაზე ან ვაკეციდინ თავის ხვედრ მიწის ნაქრებს, დათხოვნის ქალაქი სოფლის საზოგადოებისაგან იმ პირობების აუსრულებლივ, რომელნიც აღნიშნული არიან საერთო გლეხთა დებულების მე-208 მუხლში და კავშირთა დებულების მე-165 მუხლში (კანონთა კრებ. ტ. 9, გამოც. 1902 წ.), მაგრამ იმ აუცილებელის პირობით კი, რომ ამასთანავე მიეწერნენ თავის ვოლოსტებს ვოლოსტის ყრილობების დაუკითხავად; ამ წესის ასრულებისაგან თავისუფალ არიან ისინი, ვინც დათხოვნის დროს სხვა საზოგადოებათა წევრად ირიცხებიან ან სამოქალაქო სამსახურში მსახურობენ და ან უმაღლეს წოდებათა უფლებები აქვთ შექმნილი.

5) მიენიჭოს სოფლის მცხოვრებთა და სხვა ყოფილ მობარჯე წოდების ხალხს უფლება თავის ნებაზე აირჩიონ მუდმივად ცხოვრების ადგილი, ისე, როგორც ეს უფლება ეკუთვნით პასპორტის წესდების ძალით (კან. კრებ. ტ. 14, გამოც. 1893 წელს) სხვა წოდების ხალხს.

თანახმად ზემოხსენებული წესისა, გლეხების და სხვა ყოფილ მებარჯე წოდებათა ხალხის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად უნდა ითვლებოდეს ის ადგილი კი არა, რომელზედაც მიწერილები არიან, არამედ ეს ადგილი, სადაც მათ სამსახურის, ხელობის და პროფესიის ან უძრავ ქონების მდებარეობის მიხედვით ბინადრობა ექნებათ. მიეცეთ ამ პირებს, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აღნიშნულია 1903 წლის გამოცემის პასპორტის წესდების 47 მუხლში, როგორც მიწეშობა საცხოვრებლად უყვარ საპასპორტო წიგნაკები. ეს წიგნაკები უნდა ეძლეოდეთ აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც ამ პირებს ბინადრობა აქვთ, პოლიციის სამართაველობიდან. და სატახტო ქალაქებში საპოლიცია ნაწილების ბოქაულებისაგან. ამასთანავე გაუქმებულ არიან ის სხვა შემზღუდავი წესები პასპორტების შესახებ იმ პირობათვის, რომელნიც ყოფილ მებარჯე წოდებებს ეკუთვნიან, და მოთავსებულ არიან იმავე პასპორტების წესდების მე-22, 46, 48, 63, 65, 84, 86, 87, 88, 89, 91, და 92 მუხლებში.

6) გაუქმებულ იქმნას 1907 წლის 1 იანვრიდან: ა) სულზე გადასახადი, რომელიც დაკისრებული

ლი აქვთ სოფლის მცხოვრებთა იმპერიის ზოგიერთ ადგილებში, ბ) საურთიერთო პასუხისმგებლობა პირდაპირ სახელმწიფო და საერობო ხარჯების გადახდისათვის, აგრეთვე სასოფლო ხარჯების გადახდისთვის იმ ადგილებში, რომელზედაც გაგრცელებული არ არის 1903 წლის 12 მარტის კანონი საურთიერთო პასუხის მგებლობის გაუქმების შესახებ; გ) გადაცემა იმ პირებისა, რომელნიც რიგზე ვერ იხიან გადასახადებს, განსაზღვრულ სამუშაოს ასასრულელად და დანიშნვა მათთვის ოპეკუნისა, როგორც განსაკუთრებითი ღონისძიება გადასახადების აკრეფისა.

7) გაუქმებულ იქმნას: ა) განსაკუთრებითი წესი, რომლის მიხედვითაც სოფლის მცხოვრებნი და სხვა პირები, სასოფლო სამართლის ქვემდებარენი, ამ სასამართლოების განაჩენებით ისჯებოდნენ ისეთ დანაშაულობის ჩადენისთვის, რომლისთვისაც სასჯელი არაა დანიშნული მომრიგებელ მოსამართლეთა სახელმძღვანელო სასჯელთა წესდებაში; ბ) მიჩვენება ყოფილ მებარჯე წოდების პირებისა საზოგადო სამუშაოთა ასასრულებლად, როგორც განსაკუთრებითი სასჯელი ან, თუ ვაკოტრებულ არიან, როგორც საშუალება სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ ფულის გადასახდევინებლად, და გ) განსაკუთრებითი წესები ფულის გადახდევინებისა, აღნიშნულნი მომქმედ კანონების მიერ ბალტიის შხრის სასოფლო სამართალში სახელმძღვანელოდ.

8) გაუქმებულ იქმნას განსაკუთრებითი დადგენილება: ა) საოჯახო გაყრის ნებათთვის შესახებ, ბ) აკრძალვა იმ გლეხებისთვის, რომელთაც უძრავ ქონება არა აქვთ საკუთრებად, ვექსილებით ივალდ ფული და გ) აკრძალვა სამთაქარხნო მუშების და გლეხებისთვის გამართო ხოლმე ცუცხლთი მომქმედ და ტყის საჭრელი ქარხნები, და აწარმოვეთ ტყის ვაჭრობა ქარხნებზე მიწერილ სოფლებში.

9) მიენიჭოს იმ სოფლის მცხოვრებთ, რომელთაც სანადგლო მიწების გარდა განსაზღვრული ცენზი აქვთ, მიიღონ მონაწილეობა მეორე საერობო საარჩევნო ყრილობებში და კრებებზე იმისდა მიუხედავად, რომ მონაწილეობას მიიღებენ მარტებში სოფლის საზოგადოებათაგან ხმოსნების არჩევნებში.

10) გაუქმებულ იქმნას ის წესი, რომლის ძალითაც სასოფლო საზოგადოებათა შიგნით არჩეული კანდიდატებისაგან გუბერნატორი თითონ ირჩევა

და ამტკიცებდა საერობო ხმოსნებს; მიენიქოს ამ კანდიდატებს უფლება თითონვე აირჩიონ სხვის დაუყოთხავად თავის წრიდან იმდენი ხმოსანი, რამდენიც კანონის ძალით წინად გუბერნატორს უნდა დაემტკიცებინა, და თითონვე განსაზღვრონ თანდათანობა კანდიდატებისაგან ხმოსნების ნაცვლად თანამდებობის ასრულებისა; ამ საგნის შესახებ განხორციელებულ იქმნას ქვემოთე წესები: ა) სასოფლო საზოგადოებათა მიერ არჩეული კანდიდატები, რომელთა წრიდანაც უნდა იყვნენ ხმოსნები საერობო დაწესებულებისა, მოიწოდებიან მისთვის თავდაზნაურთა წინამძღოლისაგან ან მის საბაღლო პირისაგან განსაკუთრებითს კრებაზე; ამ კრებაზედ კანდიდატებმა უნდა აირჩიონ თავის წრიდან კანონში ნაჩვენებები რიცხვი ხმოსნებისა და არჩევნების საშუალებითვე განსაზღვრონ ის რიგი, რომლის მიხედვითაც სხვა კანდიდატები ხმოსნების მაგიერობას გასწევნენ; ბ) გაჰსნის რა კრებას, მისთვის თავდაზნაურთა წინამძღოლი ან მისი საბაღლო პირი უმართავს შეკრებულ ყრილობის მოქმედების წესს და წინააღმდეგას აძლევს, ამოირჩიონ თავის წრიდან ყრილობის თავმჯდომარე, რომელსაც გადაეცემა არჩევნის შემდეგ კრების ხელმძღვანელობა და გ) ამ ყრილობაზე არჩევნები იმ წესით ხდება, რომელიც კანონის ძალით მიღებულია საერობო საარჩევნო შეკრებულებისთვის.

11) გაუქმებულ იქმნას ის წესები, რომელთა ძალითაც სასოფლო მმართველობის და არა რუსთა (ინოროდცების) მმართველობის ქვემდებარე პირნი საერობო და საგლეხო უფროსების დადგენილებით აღმინისტრაციულად ისჯებიან იმისდა მიუხედავად, რომ მათი საქმე ფორმალურად არც კი ყოფილა განხილული, იმ შემთხვევაში, როცა ამ უფროსების განკარგულებათა აუსრულებლობა ბრალდებათ ამ პირებს.

12) დადგენილ იქმნას, რომ სამაზრო საკრებულოებს შეუძლიანთ გააუქმონ გლეხთა საზოგადოებების განაჩენები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განაჩენი დადგენილია კანონიერ წესის აუსრულებლივ, ან როდესაც განაჩენი არღვევს საზოგადოებათა წევრების ან საზოგადოებაზე მიწერილ პირების კანონიერ უფლებებს და ამ პირებმა ეს განაჩენი განასაჩივრეს.

* * * სტუდენტებით სავსე აუდიტორიის წინაშე რექტორმა შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: „უნივერსიტეტის ემუქვბოდნენ ავტონომიის მოსპობას. ჯერ-ჯერობით ეს განსაცდელი თავიდან ავიცილნეთ, მაგრამ საშიშ მდგომარეობაში მიიწვ ვართ. ამის მიზეზი ისაა, რომ უნივერსიტეტმა, მეცნიერების გარდა, სხვა მიზანიც დაისახა. ჩვენ გადავარჩინეთ უნივერსიტეტი, როგორც მეცნიერების დაწესებულება და არა როგორც პოლიტიკური კლუბი.“ ეს არც კი გეინდოდა, რადგან ყოველთვის წინააღმდეგნი ვიყავით უნივერსიტეტის პოლიტიკური კლუბად გადაქცევისა. მდგომარეობა ისეთია, რომ უნივერსიტეტის ვერ დაიკავთ, თუ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება. ჩვენის ფიქრით, არცერთ პოლიტიკურ პარტიას ნება არა აქვს უნივერსიტეტით ისარგებლოს თავის მიზნისთვის და ამით განსაცდელში ჩაავდოს მეცნიერების ტაძარი. საქმე ახლა ასეა: ან სწავლა უნდა მიმდინარეობდეს ნორმალურად, ან უნივერსიტეტი უნდა დაიკეტოს“. მანუილოვის სიტყვის შემდეგ, სწავლა დაიწყო ყველა ფაკულტეტებზე. 8 ოქტომბერს დანიშნულია სტუდენტების საზოგადო კრება.

* * * პრესსა ბევრსა სწერს ამერიკელების ანტი-იპონურ მოძრაობაზე. „იოროდუ“ სწერს, რომ იპონიის ერი ვერ იტანს ასეთ მდგომარეობას; 50 ათას იპონელის ინტერესის დაცვამ გამოიწვია ომი რუსეთთან; სან-ფრანცისკოშიც 50 ათასი იპონელია; იტოდენ ამერიკამ, რომ იპონიაჯარ იტანს შეურაცხყოფას და მთავრობაც თავის მოვალეობას შეასრულებსო.

* * * საარჩევნო დებულების შესახებ სენატმა ახსნა, რომ 1) სოფლის რწმუნებულებად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ შეუძლიანთ იყვნენ მხოლოდ ნამდვილი მესაკუთრე გლეხები, 2) მუშები ფბრიკებისა და ქარხნებისა, რომელიც 1905 წლის 11 დეკემბრის სავანგებო ბრძანების ძალით დღემდე მონაწილეობას არჩევნებში, ვერ მიიღვენ მონაწილეობას ქალაქისა და სოფლის არჩევნებშიც, 2) გლეხები, რომელთაც საგლეხო ბანკის საშუალებით შეიძინეს ადგილ-მამული, სამაზრო შიშთმფლობელთა სიაში ვერ შეყლენ—ამით სასოფლო არჩევნებში უნდა მიიღონ მონაწილეობა, როგორც სხვა გლეხებმა.

◆ ყოფილა სსხელმწიფო სთათბარო. მოკვავს

მოკლე, მაგრამ მეტად მკვერმეტყველი ცნობები სათათბიროს ყოფილ წევრების შესახებ: ერთი მოპკლეს (გერცენშტეინი), ერთი ქუაზე შეიშალა, ორი აწამეს, ათი იმალება, ხუთი გადასახლეს; 33 გაზრიკეს, ოცდა-ათხი ციხეში ჩასვეს და 182-ს აუკრძალეს ყოველგვარი სამსახური, ახალს პოლიტიკური უფლებანი და სამართალში მისცეს.

* ვლადივასტოკში 8 ოქტომბერს დილის ათ საათზე გვიმ «ვარიაციანი» დაეჯახა ნაღმს და ორ წუთში ჩაიძირა- ორასამდე კაცი დაიღუპა, როგორც ამბობენ, გადარჩენილია მხოლოდ ერთი.

* ოფიციალური ცნობა. 8 ოქტომბერს გუბერნატორებს შემდეგი ბრძანება გაეგზავნათ: «კეთილინებეთ და მოახდინეთ განკარგულება, რომ სათანადო დაწესებულებებმა დაუყონებლივ შეადგინონ და გამოაქვეყნონ იმ პირთა სიები, რომელთა ცნება აქვთ სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ღონისძიება მიიღეთ, რომ მათის მემამულეთა და ქალაქის ამომრჩევლთა სიები 20 ნოემბრისთვის იქმნას გამოცხადებული. წინადადება მიეცით იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელნიც აღნიშნულნი არიან 1905 წლის 17 დეკემბრის ინსტრუქციის 1-ლ მუხლში, რომ დაუყონებლივ აცნობონ სათანადო დაწესებულებათ ცნობები, რომელიც საჭიროა სხვა და სხვა პირთა საარჩევნო სიებში შესატანად. წესები იმისა, თუ როგორ უნდა განაცხადონ სურვილი არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, აგრეთვე სენატის ზოგი განმარტება არჩევნების შესახებ დამატებით მოგივით. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი სტოლიპინი».

* შეუძლებელი შეიქმნა ცხოვრება ქუთაისში. მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, რომ ქალაქს გაანადგურებენ და ქვას ქვაზე აღარ დასტოვებენ, დასასრული არა აქვს. ეს ხმები უფრო იმ გარემოებამ გაამწვავა, რომ ქალაქში ხმა გავრცელდა: გუბერნატორთან სამხედრო საბჭოს ექმნება თათბირო. ამან შეადგინა მოქალაქენი-ერთი იმას გაიძახოდა, რომ ქალაქის განადგურების გეგმა უნდა შეადგინონო, მეორენი მრავალ ხალხის დაპატიმრებისა და სამხედრო-საველე სასამართლოში მიცემის მოლოდინში იყვენ, მაგრამ, როგორც გამოირკვა გუბერნატორის ბაასიდან ვაჭრებთან, დღეს-დღეობით განადგურებას არ უპირებენ ქალაქს და თუ

კვლავ განმეორდა გუშინდელის მსგავსი მკვერმეტყველი ინანტის შეგზნულ დღეებს გვიქაღიან. მოლაპარაკების შესახებ შევიტყუეთ შემდეგი: გუბერნატორს უსაკეველურია მათთვის, თქვენ იცით, ვინც არიან მშვიდობიანობის დამრღვევნი და არ ენებარებით აღმინისტრაციის მათ მუყერობაშიო; როცა ვაჭრებს განუტყუებიათ, რომ მათ იმდენიმე იციან, ვინ არიან ყუმბარების მსროლენი, რამდენიც პოლიციამო, გუბერნატორს გაჯავრებულს უთქვამს, გრავლების შორის ფული იკრიბებოდა, რომ გუშინდელი საქმე მომხდარიყო. შემდეგ იქვე მღვამ მოკლულ ელჩიბეგოვის სახლობას, რომ იგი უზრუნველყოფილი იქნებოა. აქედან ის აზრი გამოიყვანეს ზოგიერთებმა, ვითომ აღმინისტრაციის ჰგონია, რომ ებრაელების საქმე ელჩიბეგოვის მოკვლა, რაღაც მოკლულ ბოქალის მონაწილეობით გამოყსაბა წუთი-სოფელს ი. რიყინაშვილი. წასვლისას გუბერნატორს უთქვამს ვაჭრებისათვის, თუ განმეორდა მოხელის მოკვლა, შეიძლება იანვრის დღეები განმეორდესო.

ერთხანად ქალაქში ხმა გავარდა, რომ დაქვრას უპირებენ მოსე ქეიქოძესო, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ მისი სახლი ქალაქის აფთიაქის მახლობლად არისო. თუ ასეთი მდგომარეობა ბრალად უნდა დავდოს კაცს, მაშინ აღარ ვიცით ნამდვილი დანაშაულობა კაცისა რაში გამოიხატება. ქალაქის თავის თხოვნით, იმ მლაზიების პატრონებს, რომელნიც ქალაქის სახლში ვაჭრობენ, ნება მიეცათ განახლონ ვაჭრობა, გარდა ლ. ყიფინასა, რომელი სახლში ჩხრეკის დროს, როგორც ამბობენ, რევოლვერები აღმოუჩენიათ და ამის გამო ვაჭრობაც აუკრძალავთ.

ქალაქში გაძლიერებული პატრულები დაიან. აფთიაქისა და ბულვარის მახლობლად ჯარისკაცები დგანან. ქუჩებში იშვიათად შეხედვით კაცს; ბოლოვარი დატალიერებულია. ყველა შემინეფული და დამფრთხალი გამოიყურება.

ელჩიბეგოვი მოკლულია რევოლვერის ტყვიით და არა ყუმბარით. როგორც წინადა გამოგზავნილ წერილში გწერდით. ყუმბარა ვადაუფლიათ, როგორც სჩანს, არეულობის მოსახდენად.

* ამ დღეებში გამოაქვეყნებენ გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემულ სავალდებულო



დადგენილებას, რომელიც შეეხება სამხედრო ბეგარაში გამოასხვლელ ახალგაზღვებს, მათ ოჯახებს და იმ საზოგადოებებს, რომელთაც ისინი ეკუთვნიან. ამ დადგენილების ძალით, თუ შესაძლებლობად არ გამოცხადდა კენჭმარებები ახალგაზრდა, მისი ოჯახობა ან საზოგადოება, რომელსაც ის ეკუთვნის, დაჯარიმებული იქნება 3000 მანეთით ან სამის თვით დაპატიმრებით, ხოლო თვით ახალგაზრდა სამხედრო-საველე სამამართლოში იქნება მიცემული, თუ დამტკიცდა, რასაკვირველია, რომ სამხედრო ბეგარას მოერიდა.

* თფილისში გააკრეს და გაავრცელეს „რუსეთის ხალხის კავშირის“ და სხვა პატრიოტულ პარტიების მოწოდება, რომელიც ამ ბოლო დროს მთელ რუსეთს მოეფინა. მოწოდებას აწერია „რუსული რუსეთის გლახებისადმი“. ამ მოწოდებაში ყოველივე უბედურებაში მიზეზად ებრაელები და სხვა „ინოროდლები“ არიან დასახელებულნი. იმათ მოახდინეს აჯანყება, ებრძვიან მთავრობას, სათათბირო დათხოვნიეს და სხვა. სხვათა შორის, ამ მოწოდებაში ისიც არის ნათქვამი, რომ იაპონიის აგენტმა აკაშიმა, ერთის ფინლიანდიელის და ერთის ქართველის დახმარებით, რუსეთში შემოიტანა 25,000 თფი და სამი მილიონი პატრონაო. იწვევს ყველას, ბრძოლა გამოუცხადონ ებრაელებს და სხვა „ინოროდლებს“, აგრეთვე რუსს „კრამოლნიკებს“.

* მმარცველები არ სცხრებიან; ყოველის მხრიდან მოდის ამბავი, რომ სხვა და სხვა პარტიის სახელით ხალხს მოსვენებას არ აძლევენო. ამ ორის კვირის წინად, მანგლისის მხარეზე, ს. შახვეტელიაში ოთხ შვიარღებულ კაცს გაუძარცვავეს სამი გლეხი—სამი მანეთი წაუღიათ; ფედერალისტების „კომიტეტის“ გამოგზავნილი ვართ თქვენს დასასჯელადო, უთქვამთ ყაჩაღებს იმავე მხარეზე ს. მეთვისის ახლო, გაუძარცვავეთ განმარტობით მცხოვრები მთიელი, წაუღიათ ორმოცი თუმანი. პოლიტიკურ ორგანიზაციებს არა ერთხელ გამოუცხადებიათ პროტესტი ყაჩაღების მიერ პარტიის სახელით მითვისებისა გამო და სადაც მოუხერხებიათ, საქმითა შემბრდობენიან ღამის რაინდებს. ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ვინც პარტიის სახელით ძალით ფულსა თხოულობს, ის ყაჩაღი და ავანტიკა და არა პარტიის კაცი.

* 12 ოქტომბერს ტფ.-დუბუტატა საკრებულო დარბაზში, დაიწყო სავანგებო კრება გუბერნიის თავდაზნაურთა. კრებამ გაიცნო მასალა ბაქოში ნათის მიწების საიჯაროდ აღების შესახებ. მოხსენების ავტორთა აზრით, უნდა დაგირადდეს სათავად-აზნაურო ქარვასლა 600,000 მანეთად. აქედან, ქარვასლის ვალის გასტუმრების შემდეგ, დარჩება 560,000 მან., რომლითაც შესაძლებელი იქნება სწავლის საქმის დაწყება. ამ დღეს კრებამ სათავარი გადაუწყვიტა. გუშინ კრებამ 10 საათიდან განაგრძო სხდომა დანიშნულ საკითხის გადაწყვეტად.

* შინაგან საქმეთა სამინისტრომ თანხა საარჩევნო ხარჯისთვის ასე გაანაწილა: საარჩევნო საქმეთა კომისიებისათვის გადაიღო: საგუბერნიო კომისიისათვის—150 მან. თითოს, სამაზრო 100 მან. თითოს. 150 მან. გადაიღო ყოველ მაზრის საპოლიციო უზენისათვის, რომელნიც საარჩევნო სიებს ადგენენ. 500—700 მანეთამდე გადაიღო თითო გუბერნატორის განკარგულებაში. ეს ფული იმ დაწესებულებათა საკანცელარიო ხარჯათ არის დანიშნული, რომელნიც საარჩევნო საქმის მიწერ-მოწერას განაგებენ. აქედანვე უნდა დაიხარჯოს ფული დებეშებზე.

* თუცა უნივერსიტეტი დაიკეტა, სახელმწიფო ეგზამენთი მაინც არ შეწყვეტილა. რეპტორი უნივერსიტეტისა ნებას არ აძლევს სტუდენტებს უნივერსიტეტის შენობაში კრებები გამართონ. კრების ნება არა აქვს სტუდენტთა ორგანიზაციას.

* სახელმწიფო კანტრალიორის ანგარიშით, 160წ წლის დფიციტი რუსეთისა უდრის 215,010, 037 მანეთს.

* შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ იმათ, ვისაც სამსახურის გამო ჯამაგირი ეძლევათ დღესათა დაწესებულებებისაგან, ამ ჯამაგირის ძალით უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის ამომრჩეველთა კრებაში.

* (ოფიციალური). შინაგან საქმეთა მინისტრმა 21 ოქტომბერს შემდეგი ცრუულიარი დაუგზავნა გუბერნატორებს და გრადონაჰლიციებს: „ზოგაერთო დაწესებულებანი, რომელნიც საარჩევნო სიებს ადგენენ, ეჭვობენ, შეტანილი უნდა იქმნას თუ არა საარჩევნო სიებში ყველა ისინი, რომელნიც დასახელებულნი არიან 9 ოქტომბერს“

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში და სხვა საზოგადოებასა და კეთილშენებას.

აღამიანი, როგორც თვისივე მსაჯული, უპაპო, უმჯობესი და სიტყვიერი არსება.

თუმცა კაცი შექმნილია კეთილისთვის და იგი მოვალეა, რომ ყოველთვის და ყოველგან სთესოს კეთილი, მაგრამ იგი, როგორც ცოდვილი არსება, ხშირად ბოროტმოქმედებს. ყოველი კაცი, მეტად ანუ ნაკლებ, არის მონა ცოდვა-ბოროტისა. როდესაც კაცი კეთილმოქმედებს ანუ ბოროტმოქმედებს, მაშინ მის შინაგან ბუნებაში, თუ იგი მხვეილ ყურის მგდებელია, ისმის ხმა, რომელიც კეთილს აქვებს, ხოლო ბოროტს აძაგებს, სჯის. ეს ხმა არის კაცის სულის ნიჭი კეთილისა და ბოროტის გაჩვენისა. ამასთან სული შეიგნებს, რომ კეთილი არის მისი ბუნებითი სიკაცხე, ნეტარება, ხოლო ბოროტი არის მოვლენა საზოგადოარი, არის მისთვის ტანჯვა, სიკვდილი. ამ ხმას სახელად ეწოდება სვინილისი, რომელიც ურჩევს კაცს კეთილზე დამყარებას. ქება სვინილისისა ახარებს, ანუგეშებს, ხოლო ძაგება მისი ამწუხარებს, სტანჯავს კაცსა. ამას ყოველსა თვითთული აღამიანი სცდის თვის ბუნებაში. ამგვარად, კაცსა თვისივე ბუნებაში აქვს საშუალობა ცნობისა, ვითარი იქნება მომავალი საუკუნო ცხოვრება მისი: უკეთუ კაცის ბუნებაში აქვე ჰქონდეს სიკეთე, მაშინ ცხოვრება მისი იქნება ნეტარი, ხოლო ფლობა ბოროტისა უმზადებს კაცსა საუკუნო ტანჯვასა, ეს ქვეშარიტება არის ხმა თვით კაცის ბუნებისა. ამიტომ ფრიად საბრალოა კაცი ურწმუნო, რომელსაც არ ესმის ეს ზეციერი ხმა...

აღამიანის არსება შესდგება ორი ბუნებისგან: სულიერისა და ნივთიერისა. სულიერი ბუნება არის უკვდავი, ხოლო ნივთიერი მომაკვდავი. კაცის

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციის მიერ მე-3 მუხლი და რომელიც უკვე შეტანილი იქნენ, 1908 წლის 11 დეკემბრის უმაღლეს ბრძანების ძალით, დამატებით სიგებში, თუ ამათ შესახებ დაწესებულებამ უნდა გამოიკვლიოს, აქეთ თუ არა უფლებმა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ამის გამო გთხოვთ განუშარტოთ სიგების შემდგენელ დაწესებულებებს, რომ ის პირები, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ ცალკე ბინისა ქონებით ან მოურაობა-მოიჯარადრობით. თუ შეტანილი იყვნენ წარსულ არჩევნების დამატებით სიგებში, ესლაც უნდა შეიტანონ სიაში შუამდგომლობის აღმუქრელად დანტერესებულ პირების მხრივ, თუ, რასაკვირველია, ამითი არ დაირღვევა 17 ოქტომბრის სენატის განმარტება. ამიტომ გთხოვთ წინადადება მისცეთ სათანადო დაწესებულებათ, გამოირიკონ საარჩევნო სიებიდან ის პირები, რომელიც უკანონოდ იყვნენ შეტანილი სიაში ან მას აქეთ დაპკარგეს საარჩევნო უფლება მდგომარეობის შეცვლით. ყოველ ასეთ შემთხვევაში დანტერესებულ პირთ შეუძლია წარუდგინოს სათანადო დაწესებულებას თავის უფლებების დამამტკიცებელი საბუნებო და თუ მინც არ მიიღეს ამომრჩევლად, შეუძლია საქმე განასაჩივროს და ამ გზით აღადგინოს უფლება, თუ კანონიერად იცნობენ მის საჩივარს.

* * * ექსარხოსის განკარგულებით, 1 ნოემბრისათვის დაინიშნა გორის სასწავლებლის შესახებ ფულით გადასადება. თუ კრება არ მონხდა, ექსარხოსის ბრძანებით, სასწავლებელი დაიკეტება.

* * * დიდი ხნიდან ემუქრებოდენ საწყალ მღვდელს გ. ფერაძეს. ყვირილის სიხალციეს ჩასაფრულმა კაცმა თოფით კიდევ მოკლა. მკვლელის მიიშალა, მაგრამ რკინის გზის სადგურზედ, როცა წასასვლელი ბილეთი იყიდა, ერთმა კიქნამემ იცნო, რომელიც გაუტარცვავსთ ყვირიკობის თვეში და ჟანდარმს დააკავებინა. ეს კაცი აღმოჩნდა გურული, სოფ. სურების მცხოვრები. ესევე კაცი აღმოჩნდა ამ მღვდლის მკვლელი და კიდევ გამოტყდა. პოლიციას სთხოვა თუ არ მოკლენ მას ბევრ რამეს აღმოუჩენს რომელიც პოლიციამ არ იცის. მართლაც წაუყვანია მეორე დღეს პოლიცია და ყაზახები სოფ. ქალატყეს. აქ მერყულაძის სახლის ახლოს ზეინ ქვემო აღმაიანის თოფები, პატრონები, ყუმბარები და ნაცარკვი ქალის კაბები და სხვა ნივთები. ამ კაცმა დასახელა კიდევ საქარში მცხოვრები ორი კარგი შეძლებული გლეხები მონაწილეთ. ერთი შეიპყრეს და მეორე ვერ მიაგნეს.





სულიერ ბუნებას შეადგენს სული, ხოლო ნივთიერს სხეული. სხეული კაცისა შესდგება ნივთიერი ნაწილებისგან, ამ სხეულში არიან: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი, ანუ ნათელი და სითბო. შემოქმედის ძალით ამ ნივთიერებისგან აღმწებულია ადამიანის სხეული და მიცემული აქვს მას ის მშვენიერი სახე, რომელსაც ჩვენ ვხედავთ. ეს სხეული შეადგენს სულის დროებით სადგურსა. სული თვის სიცოცხლის ძალითა იცავს სხეულის სიმბრთელსა, ბინამ იგი იმყოფება მას შინა. შემოქმედის განზრახვით, ადამიანის სულს საუკუნოდ უნდა ემკვიდრნა სხეულში და ორბუნებრივ კაცი ყოფილიყო ნეტარებაში. მაგრამ კაცმა შესცოდა. ცოდვამ შეიტანა ადამიანის ბუნებაში, აგრეთვე გარეგან ნივთიერ ბუნებაშიცა მიზნნი დარღვევისა, ცვლილებისა, განშორებისა და ხრწნილებისა. ამგვარ სამწუხარო მოვლენათა მსხვერპლად შეიქმნა სხეული ადამიანისა: მართლმსაჯულმა შემოქმედმა დააწესა სულის სხეულისგან განშორება და მისცა ეს სხეული ხრწნილებისა. — ნივთიერება დედამიწაზე იცვლება, ერთის მდგომარეობისგან გადადის იგი სხვა მდგომარეობაში, ეცვლება მას სახე პირველის მდგომარეობისა, ხოლო არსება მისი რჩება ხელუხლებელი. ამის სურათს ყოველთვის წარმოგვიდგენენ ჩვენ წლის ქაშის: გაზაფხულის და ზაფხულის, შემოდგომა და ზამთარი. ამ ყმათ მოძრაობაში ნივთიერება ხან იზადება, ხან კვდება, ხან ცოცხლდება, აღზდება. აგრეთვე ადამიანის ბუნებაშიც ჩვენ ვხედავთ ცვლილებას: სხეული, როგორც ნივთიერი არსება, ემთავითარებისგან ჰყარავს სამსახურის ღონესა, შეიქმნება უფარვის სადგურად სულისთვის და მაშინ ეს სული შორდება მას. ეს არის ის მოვლენა ადამიანის ბუნებაში, რომელსაც სახელად ეწოდება სიკვდილი. იგი არ არის რომელიმე საზარელი პიროვანი არსება, როგორც ჰაზრად წარმოიდგენს კაცი, აპირებენ მას და ხატავს საშინარის სახით, — სიკვდილი არის მხოლოდ განშორება სულისა სხეულისგან, უსულო სხეული ჰყარავს იმ სიცოცხლის სახესა, რომელსაც იმაგრებდა სული, და დაიშლება იმ ნაწილებად, რომლებისგანაც იგი შედგენილია. ამ გვარად, არსება თითო კაცის სხეულისაც არა ჰქვია, ხოლო იცვლის სახეს.

ადამიანის სული მარტივია: იგი არ შესდგება

ნაწილებისგან, როგორც სხეული კაცის და საზოგადოდ ნივთიერება. სულის არსებას შეადგენენ: გონება, გული და ნება, რომელნიც არიან უმთავრესნი მისი ნიქნი. ეს სამიანობა ნიქთა შეადგენს სულის არსების სისრულესა. ნივთიერი ქვეყნის გარდა, არის სულიერი ქვეყანაცა. ეს სულიერი ქვეყანა არის საცხოვრებელი კაცის სულისა შემდეგ მის განშორებისა სხეულისგან — ის სახის ცვლილება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ კაცის ნივთიერ სხეულში, არა არსებობს სულისთვის: სულის ცხოვრება არის სულიერი, ხოლო სხეულის ცხოვრება არის ხორციელი. სული სცხოვრებს ჰაზრებითა, წადილებითა, კეთილ ანუ ბოროტ ზნეობითა. ხოლო სხეული სცხოვრებს საქმითა და სასმითა, იმავე ნივთიერებითა, რომლისაგანაც თვით არის შედგენილი. უყუფო სხეული, როგორც ნივთიერი არსება, მხოლოდ სახეს იცვლის და არ უქმდება, სული უფრო, როგორც მარტივი სულიერი არსება, ვერც სახეს იცვლის, ვერც გაუქმდება. მაგრამ უკვდავი სულისთვისაც არის სიკვდილი, მხოლოდ სულიერი. იგი მდგომარეობს ბოროტებაში, რომელიც არის საუკუნო ტანჯვის მიზეზი. აი ის ქვემარბიტება, რომელიც ყოველთვის უნდა ახსოვდეს კაცსა, ბუნებით უკვდავსა, ნეტარებისთვის და არა ტანჯვისთვის გაჩენილსა.

ამ ნივთიერ ქვეყანაში ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა ხარისხის არსებობა აქ არიან მაღალის და მდაბალის ღირსების არსებანი როგორც უსულონი, ისე სულიერნი. ოქრო უმჯობესია ვერცხლზე, ხოლო ადამიანი უმჯობესია ყოველთა ცხოველთა როგორც სხეულით, აგრეთვე სულით. მართალია ხორციელ საგრძნობელი ცხოვრება კაცისა ენაგვსება პირუტყვ ცხოვრებას: კაციც და პირუტყვიც ხელავენ, ისინენ, ენოსვენ, გემოვნებენ, სჯამენ, სმენ, შრომობენ — იღალბებიან, ისვენებენ, გრძნობენ სიცივისა, სიციხესა, შიმშილსა, წყურვილსა, ტკივილსა, — მაგრამ კაცს ამ მდაბალ ცხოვრებაშიცა უაღრესობა აქვს. იგი აქაც მოქმედობს მოზარებით, შეგნებით და ანგარიშით, ხოლო პირუტყვის არა აქვს ამის ნიჭიერება. გარდა ამისა, ღირსება კაცის ბუნებისა მდგომარეობს არა ამ მდაბალ ცხოვრებაში, რომელიც ესაბამება პირუტყვ აც. კაცს აქვს უმაღლესნი ნიქნი, რომელნიც შეიყვანენ მას უმჯობეს სულიერ ცხოვრებაში. გონება, გული, თავისუფა-

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

ლი ნება, სვინილისი, ზნეობა, პიროვნება, როგორც საფუძველნი უკვადებისა, უზომოდ აღმადლებენ კაცსა პირუტყვზე.—სული პირუტყვისა, როგორც მოკლებული ამას ყოველსა, არის მოკვადი, მას აქვს ნიქი მხოლოდ მდბალი დროებითი ცხოვრებისა. ასე ამდლებულია შემოქმედისგან აღმინის ბუნება! ეს ყოველი აღმინისა უნდა იგრძნოს და იცხოვროს დირსეულად, როგორც შემვენის მის მშენიერ ბუნებასა. ხოლო მრავალმოწყალე შემოქმედსა, მდბალთა და მდბალთა ნიქთა მომცემსა, შევენის აღმინისგან დიდება, პატივი და თაყვანისცემა...

სიტყვიერება ფრიად დიდი ნიქია აღმინის ბუნებისა. ჰაზრები იბადებიან კაცის გონებაში. კაცის სულს აქვს ისეთი ძალა ნებისა, რომ ენა მოჰყავს მოძრაობაში ენის მოძრაობით ირყევა ჰაერი. ამ საშუალობით დფარული ჰაზრი ცხდდება ხმად, ხმა მარცვლებად, მარცვლებიდან შესდგებიან სიტყვები, სიტყვებისგან შესდგება მრთობი საუბარი. ამ სახით სული ერთი კაცისა, და არა მისი სხეული, ელაპარაკება მეორე კაცის აულსა, აღმინები ელაპარაკებიან ერთმანეთისა. კაცობრივი სწავლა—მეცნიერება დამოკლებულია სიტყვიერების ნიქზე. უამისოდ წინმსდვლობა აღმინის გონებისა ყოვლად შეუძლებელია. დიდა დანიშნულობა ამ ნიქისა. სიტყვით კაცი უნდა აღიღებდეს დმერთსა, ევედრებოდეს და მდლობდეს მას, არიგებდეს მოყვასსა კეთილზე, ახარებდეს და ანუგემებდეს მას. ამ გზით კაცობრივი ზნეობა უნდა ყვოდეს და კეთილ სუნწნებდეს. მეგრამ, სად არის ეს ზენწინერება, სად არის სამოთხე ცხოვრებისა? არ არის იგი აშიტომ, რომ ჰაზრობისა და სიტყვიერების ნიქსა ივდ ხმარობს აღმინიანი როგორც მკოდინარე, ისე უტკოდინარი. თვით შეგნება მწიგნობარი კაცისა იქამდინ ძირდაწეულია, რომ იგი ჰბედავს და უარჰყოფს დვთის მყოფობასა, კაცის უკვადებისა და იმ მაცხოვარებისა, რომელიც მონიქა დმერთმა კაცობრივობასა. იგი ისე დბწნებელია, რომ თვის ავადჰაზრობას ავრცვლებს ბეჭდვის საშუალობით საცდურად და მვენებელად მრავალთა, ხოლო საზოგადოება ქებას

შესახავს მას, როგორც ახალ მოპაზრესა, იმას კი ყურს არ უგდებს, როგორ იშბამებიან და იბოტებიან სულიერად მისივე შვილნი ამგვარ თხზულებათ კითხვითა. ვინ დიდებს გულზე ხელსა და გვეტყვის, რომ ასრეთი უნდა იყავს შედგევი იმ ნიქიერებისა, რომლითაც გვირგვინოსან ჰყო მოქმედმა აღმინის ბუნება?!.. ჩვენ ვსთქვით და ვიტყვით სიკვდილამდე. რომ ნათელი კაცის გონებისა მსგავსია მთვარის მკრთალ და ცივი ბინდისა, რომელსაც არა აქვს ძალა სიკოცლისა, როგორც აქვს მზის ნათელსა. ამიტომ კაცობრიობა სიქიერებს ზეციერ სწავლასა, როგორც ცხოვრდეს მყოფებს ნათელში. ამ ნათელში უნდა აღიზარდოს დაცემული ბუნება აღმინისა დიდისაცა და პატარასიცა...

მეორეს მხრივ აქ ჩვენ წარმოგვიდგება ბნელი სურათი საწყალი გლეხის ზნეობისა. ვინ არ იცის, როგორ ავადხმარობს იგი სიტყვის ნიქსა, როგორ ივინება იგი და ავად იხსენება? იგი იქამდინ გულისდება ჩხუბში და ლანძღვა-ვინებაში, რომ კაცსაცა ჰკლავს. თვის მარჩენელ პირუტყვს გლეს ექცევა მტრულად და სასტიკად; სცემს მას შეუბრალებლად, როდესაც იგი ვერ ერევა საპაღენსა ან აუტყვევს გზასა, ავინება მას იმისთანა მყრონი სიტყვებითა, რომელთაც არმიიღებს ვარდასაცემლად არც ჭაღალდი, არც ბეჭედა.. ასე დაცემულია გონებით და ზნეობით გლესკაცობა, ისიც სადა?—ქრისტიანობაში.. იქა, სადაც არის საუნჯე ქემშობრიტი მეცნიერებისა და ზნეობის აბაღლებისა. ამ მეცნიერებას მოკლებულია სიმრავლე ერისა. მოკლებილია მათგან, ვინც მოვალეა შეიყვანოს იგი ამ მეცნიერებაში, მოკლებულია თვით მწიგნობართაგან, რომელნიც თვითონაც ერიდებიან ამ მეცნიერებასა, სხვათაც უბშვენ მისდამი გზასა, არც თვით სჰამენ და სმენ ამ მეცნიერების ცხოველს მყოფელ პურსა და წყალსა, არც სხვას აქმევენ და ასმევენ!.. ვგი თქვენდა, მწიგნობარნო!... ეს ზეციერი მრისხანება ამაოდ არ დარჩება..

ი ბალევეა.

რედაქტორ-გამომცემელი დევ. დ. ლამბაშიძე, 30 ოქტომბერი, 1906 წ.

სტამბა ჟურნალის „მეფესი“-ს რედაქციისა (დევ. დ. ბ. დამბაშიძის) ყვირილა საკუთარ სახლში.